



# ბათუმის უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №8. ოქტომბერი, 2012.

## სტუდენტები აპროტესტებენ

სასჯელალსრულების სისტემაში პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის ფაქტები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმაც გააპროტესტეს. ახალგაზრდებმა აპოლიტიკური საპროტესტო აქციები 19 სექტემბერს დაიწყეს. მათ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. სტუდენტებმა პირველ დღეს ნინოშვილის ქუჩიდან უნივერსიტეტის მიმართულეებით მსვლელობა მოაწყვეს და ვანდალიზმის დაგმობის, პატიმართა სოლიდარობისა და თანადგომის მოწოდებით უმაღლესი საგანმანათლებლო

მომხდარი ვანდალიზმი. დროულად უნდა დაისაჯონ დამნაშავეები და პასუხი აგონ ხალხისა და სამართლის წინაშე“, — აღნიშნა სტუდენტმა გოჩა სურგულაძემ. თავისი პოზიცია დააფიქსირა ჩვენთან საუბრისას აქციის აქტიურმა მონაწილემ, პოეტმა ჰენრი დოლიძემ:

— „ეს არის სრულიად აპოლიტიკური აქცია, სამოქალაქო საზოგადოება აპროტესტებს იმ ვანდალიზმს, რაც ჩაიდინეს ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა პატიმრების მიმართ. ჩვენ შერცხვენილი ვართ, მსოფლიოს წინაშე ამ ლაფს მხოლოდ ერთიანობითა და მომხდარის დაგმობით მოვიშორებთ. სწორედ ამას ისახავს მიზნად ეს აქცია“.



დანესებულების ყველა სართული მოიარეს. — „მოეუწოდებ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს გამოვიდნენ სოლიდარობის ნიშნად, გვერდში დაგვიდგნენ და ჩვენთან ერთად დაგმონ გლდანის №8 საპროტესტო აქცია“.

საპროტესტო აქცია 20 სექტემბერს დამნაშავეთა დასჯისა და შინაგან საქმეთა მინისტრის დაუყოვნებლივ გადაყენების მოთხოვნით განახლდა. „არა ძალადობას“, „არა წამებას“, „ძირს ახალაია“, — სკანდირებდნენ სტუდენტები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. სტუდენტების აქციას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე დილიდან შეუერთდა. როგორც მან სტუდენტებს განუცხადა, ის ყოველთვის ახალგაზრდობის გვერდით იქნება და გმობს პატიმართა წამების ფაქტებს.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განცხადება გაავრცელა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის საექტო დარბაზში შეკრებილ პროფესორ-მასწავლებლებს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ გააცნო. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, აკადემიური საბჭო და ადმინისტრაცია გმობენ სასჯელალსრულების სისტემაში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს. უნივერსიტეტი უერთდება საზოგადოების მოთხოვნას შეიქმნას სასჯელალსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის შემსწავლელი კომისია და დაისაჯოს თითოეული დამნაშავე პასუხისმგებელ პირებთან ერთად“, — ნათქვამია აკადემიური საბჭოს განცხადებაში. პროფესორ-მასწავლებლებმა ერთხმად გაიზი-



— „ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქციას ყველა ვუერთდებო, ამას იზიარებენ არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ ყველა, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე და ბუნებრივია, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებიც. ვერ შევეგუებით მომხდარს. ყველას აქვს საკუთარი მოსაზრების და პოზიციის დაფიქსირების საშუალება და ცხადია, არც ახალგაზრდები წარმოადგენენ გამონაკლისს. სტუდენტების გვერდით ვდგავართ და მათ ინტერესებს ყოველთვის დავიცავთ“, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა.

არეს განცხადება და მხარი დაუჭირეს. — „უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი, სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი შეძრწუნებულია ტელევიზიისა და სოციალური



ქსელების საშუალებით გავრცელებული კადრებით. უნივერსიტეტი უერთდება სავესებით სამართლიან სამოქალაქო პროტესტს — „არა ძალადობას!“ „არა — წამებას!“ და მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას. დღეს აკადემიური პერსონალი შეიკრიბა სტუდენტებთან ერთად იმისათვის, რომ მიმართოს საზოგადოებას შექმნას კომისია ამ საქმის დეტალურად შესასწავლად“, — აღნიშნა უნივერსიტეტის პროფესორმა მერაბ ხალვაშამ.

აქციას ხელოვნების ინსტიტუტისა და საზღვაო აკადემიის სტუდენტები, აჭარის მწერალთა კავშირის წევრები და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საზოგადოების წარმომადგენლები შეუერთდნენ. სტუდენტებმა მოგვიანებით ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძართან გადაინაცვლეს ღვთისმშობლობის აღსანიშნავად.

მანანა თავდგირიძე



### „გერმანული ღღევი“ უნივერსიტეტი რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა



გერმანიისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „გერმანული ღღევი“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის საქართველოში ორთვინ ჰენინგის ხელმძღვანელობით, რეგენისა და როსტოკის დელეგაცია ეწვია. შედგა პოპულარული გერმანული ფილმის „მშვიდობით, ლენინ!“ ჩვენება, DAAD-ის, გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის საელჩოს სასტიპენდიო პროგრამების პრეზენტაცია. დუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტის პროფესორმა საბილე შონბორნიმ ლექცია წაიკითხა თემაზე: „საქართველო გერმანულ

მოგზაურთა ჩანაწერებში“, ხოლო ტურიზმის განვითარების აქტუალურ საკითხებზე, მრავალი მაგიდა გაიმართა. უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საერთაშორისო კოორპორაციის (GIZ) ტურიზმის ექსპერტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის (დრეზდენი/ბერლინი) ევროპული ბიზნესკოლეჯის ლექტორს კურტ ჰაინც რაიცს რსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

კურტ ჰაინც რაიცი წლების განმავლობაში ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ტურიზმის განვითარების განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებაში, გერმანიაში ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირებასა და სტუდენტების სწავლებაში. ასევე, დიდა ტურიზმის ექსპერტის დამსახურება საქართველოში, კერძოდ აჭარაში ტურიზმის განვითარების განვითარების საქმეში, მხარს უჭერს ინოვაციური პროექტების განვითარებას. ტურიზმის სფეროში ხანგრძლივი თანამშრომლობა შედეგადად იქნება დასაქმების, ტურიზმის სწავლების და რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის.

### უნივერსიტეტი აჭარისა და ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკების მემორანდუმის ავტორიანი გაიხსნა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და ნახიჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ისა ხაბიბილიმ აჭარისა და ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკების მემორანდუმის ავტორიანი გახსნეს. რეგიონებსა და უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმში სამი თვის წინ გაფორმდა და ამ დროის განმავლობაში რამდენიმე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტი უკვე განხორციელდა. ქართველი პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული ნახიჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, ათმა აზერბაიჯანელმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო რსუ-ში გამართულ, ორკვირიან საზაფხულო სკოლაში და ოთხი სხვადასხვა მიმართულებით ერთმნიშვნელოვნად დასწავლო პროგრამას ეუფლება. სასწავლო წლის მეორე სემესტრში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ქართველი სტუდენტები სასწავლებლად ნახიჭევანში გაემგზავრებიან. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა თანამშრომლობა დადებითად შეაფასეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

### 27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე



27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღის აღსანიშნავად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები სიმბოლურად ზღვის სანაპიროსთან შეიკრიბნენ. ახალგაზრდებმა კიდევ ერთხელ გაიხსნეს 19 წლის წინ განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირები და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მანათობელი ფრანგები გაუშვეს. აფხაზეთში საომარი მოქმედებები 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, სამხედრო დაპირისპირებისას ქართული მხრიდან 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, ხოლო 350 ათასამდე დევნილი ღია ცის ქვეშ დარჩა.

### „კიევ-მოჰილას“ აკადემიის ნაციონალურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება



თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „კიევ-მოჰილას“ აკადემიის ნაციონალურ

უნივერსიტეტს შორის. ხელშეკრულება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელებას ისახავს მიზნად. მხარეთა შეთანხმებით ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ამოქმედდება გაცვლითი პროგრამები, ჩატარდება სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები და ტრენინგები. მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა და ბიბლიოთეკის ონლაინ-რეჟიმში გამოყენება.

### უცხოელი პროფესორები საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებით



საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებზე უცხოელმა პროფესორებმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ლექციები წაიკითხეს. ნიუმბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა იოჰან იოშერმა ახალგაზრდებს თანამედროვე მიკროპროცესორების დაპროექტება გააცნო. სალექციო კურსში წარმოდგენილი იყო

თანამედროვე მიკროელექტრონიკაში გამოყენებული ინტეგრალური სქემების შემადგენელი ელემენტური ბაზის დაპროექტების შესაძლებლობები და გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები. ესტონელმა პროფესორმა ვლადიმერ ტომბერგმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა, როგორცაა სამომხმარებლო გამოცდილების პროექტირება ვებტექნოლოგიებში. ყურადღება გაამახვილა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, სამომხმარებლო ინტერფეისის დაპროექტებისა და რელიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ავსტრიელმა პროფესორმა ანდრეას ზალსბურგერმა ლექციები დიდ ადრონულ კოლაიდერში „ატლასის“ დანადგარზე ჩატარებულ ექსპერიმენტზე, მის მნიშვნელობასა და შედეგებზე წაიკითხა.

### უცხოელ პროფესორ-მასწავლებლებს სერტიფიკატები გადასცეს



ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა

ალიოშა ბაკურიძემ სერტიფიკატები გადასცა და მადლობა გადაუხადა გაწეული თანამშრომლობისათვის. რამდენიმე დღეა ამერიკელი, გერმანელი, ესტონელი და პოლონელი ექსპერტები ლექციებს კითხულობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების, საჯარო ადმინისტრირების, საინჟინრო ტექნოლოგიების, სტრატეგიული მენეჯმენტისა და ეკონომიკის მიმართულებით. უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებს ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი დარგების მიღწევებს აცნობენ და მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ.

### ლექციები სტრატეგიული მენეჯმენტისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით



მარკეტინგის მართვისა და დაგეგმვის საკითხებზე ვარშავის ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი მარია ჯოჰანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათი დღის განმავლობაში ლექციებს კითხულობდა. პოლონელმა მეცნიერმა ახალგაზრდებს ინფორმაციული

უზრუნველყოფის, ბაზრის სეგმენტების, მარკეტინგული კომუნიკაციებისა და ინტერნეტ - მარკეტინგის სპეციფიკა წარუდგინა. პაიდელბერგის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი ანდრეას გეორგ ჰაილი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპის მცოდნეობის სტუდენტების სტუდენტებს სალექციო კურსს „შედარებით პოლიტიკას“ უტარებს და ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს აცნობს. გერმანელმა დოქტორმა ათდღიანი ვიზიტის ფარგლებში ჯგუფში მუშაობის მეთოდოლოგიური საკითხებზე სემინარი ჩაატარა, დეპარტამენტის წევრებს შეხვდა და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებსა და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაზე ისაუბრა.

### ლექციები სოციალურ მეცნიერებათა, გიზნისა და საპარტალობო-დემოკრატიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის



სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნისისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე ლექციებს უკითხავენ. ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა დანიელ დანიმ ბიზნისის დაგეგმვას, სტრუქტურას, განვითარებას, საერთაშორისო ბიზნისის

პრინციპებს, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდებსა და მოდულებს ათდღიანი სალექციო კურსი მიუძღვნა. მინსოტის უნივერსიტეტის პროფესორმა - ჯიმის რედელსონმა სტუდენტებს ვერცხლად წარუდგინა უმუშევრობის, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და თანამედროვე პრობლემები. ამერიკელმა ექსპერტმა ასევე ისაუბრა ამ პროცესების პრევენციისა და აღმოფხვრის აპრობირებულ ღონისძიებებზე. კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ ბროკიმ ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის შემოსავლის მაღლების თანამედროვე საკითხები განიხილა. ყურადღება გაამახვილა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენების თანამედროვე მიმართულებებზე.

### ამერიკელმა პროფესორებმა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ლექციები წაიკითხეს



ამერიკელმა პროფესორებმა რიჩარდ ლეტენდრემ და რობერტ ლოუდერმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით

ორკვირიანი სალექციო კურსი წაიკითხეს. პროფესორმა რიჩარდ ლეტენდრემ მომავალ ინჟინრებს მშენებლობის დაპროექტების საფუძვლები და ის ძირითადი პრინციპები გააცნო, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ბიზნესმენს (მეპატრონეს), დამპროექტებლებს, მშენებელთა გუნდსა და ეკონომიკის სამინისტროს. უცხოელმა ექსპერტმა ასევე განიხილა საერთაშორისო სამშენებლო კოდები, შენობა-ნაგებობათა კლასიფიკაცია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. პროფესორმა რობერტ ლოუდერმა სტუდენტებს ამერიკის თანამედროვე სამრეწველო ენერჯეტიკაში გამოყენებული წყლისა და აირის - გაბობისა და კონდენციაციის სისტემები წარუდგინა. ისაუბრა წყლის გაწმენდის მეთოდებზე, ძველი და თანამედროვე სატუმბო სისტემებზე, მის მრუდებსა და შერჩევის პრინციპებზე.



# საინტერესო ნიგნი



ცივლების ფორმები და მეთოდები; მისი როლი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას.

სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა საკმაოდ აქტიური და საპრობლეუმი საკითხი სისხლის სამართლის პროცესში. მით უმეტეს ახლა, როცა 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნორმა შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სახელს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ამავე კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპები ასლებურადაა მოწესრიგებული, მისი დანყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

ქ. თბილისში, გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ გამოცემული „სამართლის დოქტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებლის გივი აბაშიძის ნიგნი „პროკურორი გამოძიების სტალიანი“, რითაც ავტორმა კიდევ ერთი საინტერესო და კარგ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული ნიგნი შემატა როგორც სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე მის მიერ ადრე გამოცემულ სხვა ნიგნებს და ათეულობით საპროცესო ნაშრომებს, ასევე საერთოდ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას.

ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის სამართლის თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხებთან დაკავშირებული ნიგნი დაინტერესება.

ნაშრომში ავტორის მიერ სათანადო ლიტერატურის გამოყენებით, რაც საკმაოდ უხვად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, დეტალურად არის განხილული და მეცნიერულ დონეზე დამუშავებული გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა; პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე; სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში; სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები, დისკრეციული დევნის პრინციპები; პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება გამოძიების სტადიაზე; პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ამოცანები და ფუნქციები, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორ-

ცივლების ფორმები და მეთოდები; მისი როლი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას.

ავტორის სწორედ ამ კუთხით აქვს განხილული და გაანალიზებული სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხები და მისი უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურორის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის.

აღნიშნულზე ავტორს შესწავლილი აქვს ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა, ვრცელი თეორიული მასალა, სამეცნიერო შრომები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, გადმოცემული აქვს საკუთარი შეხედულებები.

ნიგნი განხილულია ისეთი საკითხებით, რაც იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ-იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა

სხვადასხვაობას იწვევს. ნაშრომში ავტორს იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ სადაო საკითხების გარშემო ჩამოყალიბებული აქვს თავისი მოსაზრებები, სათანადო მეცნიერული დასაბუთების და პროკურორული და სასამართლო ორგანოებში თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გადმოცემული აქვს დასკვნები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

იმის მიუხედავად, რომ გამოძიების სტადიაზე პროკურორის საქმიანობა სამეცნიერო კვლევისათვის არის რთული, ღრმა მეცნიერული, მაინც გასაგებ ენაზე იკითხება. ბევრ თეორიულ საკითხზე გადმოცემულია ავტორისეული მიდგომა.

ავტორის მიერ, პროკურორის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის საკითხები შედარებით ანალიზის საფუძველზე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე.

ნიგნს ერთი დასკვნა, რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ნაშრომი პირველ რიგში განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტებისათვის, ასევე სამეცნიერო და სამართალ-დაცვლელ სფეროში მომუშავე პირების და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, ის დახმარებას გაუწევს აგრეთვე აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული ნაშრომი მართლაც მნიშვნელოვანი შენაძინა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში. გვინდა წარმატებები ვუსურვოთ გივი აბაშიძეს და იმედით გამოვთქვათ, რომ ის მომავალშიც გააგრძელებს ფართო სამეცნიერო საქმიანობას.

**დავით კარიაული**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი

**მიხეილ გამნიაშვილი**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

# საზაფხულო სკოლა ენათა ელექტრონულ დოკუმენტაციასა და ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში



10-დან 20 აგვისტომდე ჩვენმა უნივერსიტეტმა უმსაბინძოდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლას ენათა დოკუმენტაციასა და ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. საზაფხულო სკოლა პირველად ჩატარდა და დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. სალექციო კურსები მოისმინა და ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემებისადმი მიძღვნილ ვორკშოპებში მონაწილეობა მიიღო 20 მდე სტუდენტმა, ბაკალავრმა, მაგისტრმა და აკადემიურმა დოქტორმა ბათუმის, თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან.

სკოლა მოიცავდა 9 სალექციო კურსს, რომლებიც გაერთიანებული იყო სამ შემდეგ სექციაში:

- ენათა ელექტრონული დოკუმენტაცია;
- ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები;
- ისტორიის ეროვნული კონცეპტუალიზაციის ლინგვისტური და პარალინგვისტური ასპექტები.

საზაფხულო სკოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო რსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტმა, რომელმაც იტვირთა პროექტის შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი სიმძიმე. პროექტს კოორდინაციას უწევდა ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. რამაზ ხალვაში, რომელიც, ამასთან ერთად, უძღვევდა სემინარებს კურსს „დამწერლობა და მისი მნიშვნელობა ისტორიული მესიერებისა და ეროვნული კონცეპტუალიზაციის კვლევისთვის“.

ჩვენი უნივერსიტეტიდან საზაფხულო სკოლაში კურსები წაიკითხეს, აგრეთვე, მანუარ ლორიაშვილი („ქართული ეთნოლოგია ვიზუალური ანთროპოლოგიის ქრილში“) და ომარ მემიშვილი („სპეციალური პრობლემები ლაზურში“).

სამი კურსი წაიკითხეს ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მონველმა პროფესორებმა მარინე ბერიძემ (ლიანა ლორთქიფანიძესთან ერთად), მაია ლომიამ და ნინო შარაშენიძემ.

საზაფხულო სკოლის პროექტი შემუშავდა და განხორციელდა ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით. ფრანკფურტის უნივერსიტეტიდან პროექტს კოორდინაციას უწევდნენ პროფ. მანანა თანდაშვილი (კურსი: „ენათა ელექტრონული დოკუმენტაცია — ტექნოლოგიები, მეთოდოლოგიები“) და ზაქარია ფურცხვანიძე (კურსი: „ელექტრონული სწავლების ინფრასტრუქტურა“).

სემინარების კურსი („გლოსირება და ლინგვისტური ანალიზის სპეციალური პრობლემები ქართველურ ენებთან მიმართებაში“) წაიკითხა ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტმა ლელა სამუშიამ.

ფრანკფურტის უნივერსიტეტის გამომთვლითი ცენტრისა და OLAT-ის ჯგუფის მიერ სტრუქტურირებულმა ვირტუალურმა სასწავლო სივრცემ და ელექტრონული სწავლების ინფრასტრუქტურამ ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის ეფექტურობას და სკოლის საბოლოო წარმატებას. სახელდობრ, საუბარია საზაფხულო სკოლის ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა:

- ონლაინ ვეალუაცია;
- გოეთეს უნივერსიტეტის საკუთრივი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის დათმობა საზაფხულო სკოლისათვის;
- პერსონალიზირებული რეგისტრაცია სკოლის მონაწილეთათვის.

საზაფხულო სკოლის მონაწილეთათვის სწავლების სპეციალური ელექტრონული გარემოს შექმნა წარმოადგენს ამაგარი სახის პირველ მცდელობას ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში.

საზაფხულო სკოლის ელექტრონული ბანი და ვეალუაციის შედეგები განთავსდა ფრანკფურტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://olat.server.uni-frankfurt.de>.

ბათუმის საზაფხულო სკოლამ ცალსახად აჩვენა, რომ 2011 წლის მემორანდუმის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებები გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტსა (ხელმძღვანელი, პროფ. იოსტ გიმერტი) და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მომავალშიც იქნება ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი.

საზაფხულო სკოლის მომავალ მიზნებზე გვესაუბრა პროფ. რამაზ ხალვაში. მისი თქმით, საზაფხულო სკოლა ყოველწლიურად ჩატარდება და მომავალში უფრო მეტად ყვარდის ინტერესს ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგისადმი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. მომავალ წელს ქართველ სტუდენტებთან ერთად სკოლაში მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი ახალგაზრდებიც, ამავე სკოლის ფარგლებში ჩატარდება ქართველოლოგიის საერთაშორისო კონფერენცია, რაც ხელს შეუწყობს ქართველოლოგიური პრობლემებისადმი საერთაშორისო ინტერესის შემდგომ გაღრმავებასა და სწავლების ინტერნაციონალიზაციას ჩვენს უნივერსიტეტში.

**თეა მალაჩიძე**  
ქართული ფილოლოგიის სპეციალისტის მე-4 კურსის სტუდენტი, საზაფხულო სკოლის მსმენელი

# მნიშვნელოვანი ნაშრომი



ოთარ გოგოლიშვილი

გრიგოლ ვოლსკი, როგორც საზოგადო მოღვაწე და პოეტი

გამოვიდა ო. გოგოლიშვილის ახალი ნიგნი, რომელიც ეძღვნება ილიასა და აკაკის თანამედროვეს, XX-XX საუკუნის საზოგადო მოღვაწის-გრიგოლ ვოლსკის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე, ეროვნული ინტერესების დასაცავად ბრძოლის ისტორიას.

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ იბრძოდა ქართული ენის ზედმინიწივით მცოდნე ვოლსკი ჩვენი კულტურის გადარჩენად და ეროვნული ინტერესების დამცირებული და დაკნინებული ქართული ენის უფლებების აღსადგენად და დასაცავად. აღიარებდა რა მშობლიურ ენაზე სწავლების უპირატესობას, იგი სწორედ დედანას თვლიდა ეროვნული ერთიანობის უმთავრეს საფუძვლად.

ახალი თაობის აღზრდა საზოგადო მოღვაწეს უადრესად მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნდა: პედაგოგობას მიიჩნევდა ყველაზე პასუხსაგებ პროფესიად და მკაცრად აკრიტიკებდა უხამსი ნიგნების ავტორებსაც, რომელთა ნაწერებსაც არაერთი ალმზრდელითი ღირებულება არ ჰქონდათ.

აქვე განხილულია, თუ როგორ აკრიტიკებდა გრიგოლ ვოლსკი სარწმუნოებრივ ნიადაგზე უფლებათა შეზღუდვას და მთავრობის ანტისემიტურ პოლიტიკას. უწოდებდა რა ამას შუასაუკუნეების დანატოვარ უმცრებას, ენოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რომ საზოგადოებისთვის შეეგნებინებინა, რატომ, რა მიზეზთა გამო ჩამოსახლდნენ ებრაელები საქართველოში და აშუქებდა მონინავე ებრაელთა საქმიანობას.

ნაშრომში გაანალიზებულია ვოლსკის პუბლიცისტური ნერილები, რომლებითაც იგი მტკიცედ იდგა მამინდელი ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების გზაზე. იგი დახასიათებულია, როგორც ქედუხრელი, შრომისმოყვარე და უკომპრომისო მოღვაწე.

ფასდაუდებელია გრიგოლ ვოლსკის დამსახურება ბათუმის წინაშე. ნაშრომში წარმოჩენილია მისი ღვაწლი ჩვენი ქალაქის განვითარებაში, კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილება და ქართული სკოლის კომიტეტიც. ნაშრომში დასახელებულია ყველა ის შენობა-ნაგებობა,

რომლებიც ბათუმში გრიგოლ ვოლსკის თაოსნობით აშენდა.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობისთვის უკომპრომისო მებრძოლის სიცოცხლეს არაერთხელ დამუქრებია საფრთხე თვითმპყრობელობის მხრიდან. მას ახასოდეგს ღირსება უმფოთველი ცხოვრება.

ავტორის მიზანია გრიგოლ ვოლსკის, როგორც საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და პოეტის დახასიათება. მისი დასახურების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის. ნიგნი კარგ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიით, ეროვნული კულტურით, პულიცისტული, ლიტერატურით და ბათუმის ისტორიით დაინტერესებულ პირებს, ფართო საზოგადოებას. უფრო მეტიც, ავტორი გულსიტკვივლით აღნიშნავს ბათუმში გრიგოლ ვოლსკის საფლავის დაკარგვის შესახებ (ბოლშევიკებმა 1929 წელს დაანგრეს მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის ეზოშიც გრიგოლი იყო დასაფლავებული). და ბოლოს, ის მოუწოდებს ქალაქის ხელისუფლებას ბათუმში დადგას ვოლსკის ბიუსტი, რათა საზოგადოებამ სათანადო პატივი მიიღოს მის სხივას.

ამრიგად, მრავალმხრივ საინტერესო ნიგნი ორმაგი დანიშნულებისაა და ვფიქრობთ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენს სულიერ მემკვიდრეობაში. ვუსურვებთ მის ავტორს, ბათუმის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარს, ამ მეტად დროული ჩანაფიქრისა და კეთილშობილური ნაშრომების რეალობად გადაქცევას.

**ასოც. პროფ. ნანა ცაცხაძე**



# სპეტიცხოვლობა



სოხუმისი და იერუსალიმისი დასოფლის პასეჟის აღსასრულეზღაღ.

იმ წელს, როცა ქართლის სამეფო ტახტზე აღრეკი ავიდა, მცხეთაში ხმა გავარდა, იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო. გლოვამ და წუხილმა მოიცვა ქართველი ჰურიანი, მაგრამ გამოხდა მცირე ხანი და ყველანი დამშვიდდნენ – შეიტყვეს, რომ „სპარსნი დასაპყრობად კი არ მოსულან იერუსალიმსა, არამედ საჭურველის ნაცვლად მოჰქონდათ სამეფო ოქრო, მაკურნებელი მური და სურნელოვანი გუნდრუკი და ეძიებდნენ დავითის ტომის ყრმას. იპოვეს კიდეც მწირი ერთი, მწირი დედაკაცისაგან შობილი უდროო დროს და უადგილო ადგილას. იმ ყრმას სცეს თაყვანი და შესწირეს ძღვენი“.

გავიდა ოცდაათი წელი. ანა მღვდელთმთავარმა მოციქული გამოაგზავნა მცხეთელ ურიებთან: „რომლისათვის იგი მოვიდეს მოგუნი და შესწირეს ძღვენი, აღზრდილ არს იგი და იტყვას თავსა თვისა ძედ ღმერთისა და სხუასა რასმე ახალსა სჯულსა გუქადაგებს და აწ წარმოგვეღვინა მოციქულნი ყოველთა თანა ჰურიათა, რათა მოვიდნენ მეცნიერნი სჯულისანი. მოვედით უკვე ყოველივე მოსეს სჯულისა თანამდებნი და განვბჭოთ მას ზედა“.

ქართლიდან სინედრიონის ზჭობაზე წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედა მღვდელთა ტომიდან იყო. წასვლის წინ მან შვილს სთხოვა, წილი არ დაედო მესიის სისხლის დათხევამი, „რამეთუ ის არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთაგან თქმული“.

როცა მაცხოვარი გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ მცხეთაში გაიგონა ჩაქუჩის ხმა, „სამსწელითა კრჩხილებითა“ დაიძახა: „მშვიდობით, მეუფებო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მესსნელი და იქმნენთ ამიერიითგან მტერ შემოქმედისა!“ – და მყის აღესრულა.

როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს ჰურიათა, ღვთის განგებულებით იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება „დაა თვისი“, სიღონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა ჩვენისა, ტირილით და გოდებით მოისმინა ძმისაგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად განხორციელდა მთელს ქართლში. აღერკი მეფემ მოისურვა თავად შეემოსა კვართი, მაგრამ იგი სიღონიას გაცივებულ მკლავებს ვერავინ მოაშორა, ელიოზმა თავისი და წმიდა კვართთან ერთად დამარხა. სიღონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა.

სულთმოფენობის შემდგომ მოციქულებმა წილი ჰყარეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქართლის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა და უბრძანა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულვებელყო ერთი იგი საგებურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებით შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავთონე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენსა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვდრობდეს მცუველად მათდა უკუნისამდე ყამათა“. ღვთის განგებულებით და ღვთისმშობლის კურთხევით საქართველოში საქადაგებლად წამოვიდა წმიდა ანდრია პირველწოდებული (ხსენება 30 ნოემბერს).

წმიდა ანდრიამ იქადაგა დიდაჭარამი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მოაქცია წარმართები, დაადგინა მღვდლები და დიაკვნები, აღაშენა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. შემდგომ გადმოიარა მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდებოდა, განვლო ოძრხის ხევი, მოაღწია სამცხის საზღვარს და დაივიანა სოფელში, რომელსაც ზადენ-გორა ერქვა. აქ ლოცვის მადლითა და ძალით შემუსრა კერპები. აწყურში მთავრობდა ქვრივი ქალი სამძივრის გვარისა, რომელსაც ერთადერთი ვაჟი გარდაცვლიდა. წმიდა ანდრია მოციქულმა, ჯვრის ნებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მადლით, მიცვალებული ადადგინა მკვდრეთით. სამძივარმა ძით და ყოველი სახლეულითურთ ნათელ-ილო. წმიდა მოციქულმა მესხეთში დაადგინა ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკვნები, ამის შემდეგ იქადაგა კლარჯეთში, არტანუჯში,

აღერკი მეფემ ნათელდებული ქართველები და მეგრელები კვლავ წარმართობაზე მოაქცია და შერისხა კლარჯეთის ერისთავი, რომელმაც მშვიდობით განუტევა წმიდა ანდრია. მოციქული კვლავ დაბრუნდა ქართლში. ამჟამად მას მატათა და სვიმონ კანანელი ახლდა თან. წმიდა მატათამ (ხს. 9 აგვისტოს) საქადაგებლად სვანეთს მიაშურა, წმიდა ანდრია და წმიდა სვიმონი (ხს. 30 ივნისს) ოსეთს წავიდნენ და მრავალი მოაქციეს, შემდგომ კი აფხაზეთს მიმართეს. წმიდა სვიმონ კანანელი დარჩა ცხუმში, ხოლო წმიდა ანდრია ჯიქეთს წავიდა. ჯიქებმა არ შეიწყნარეს მოციქულის ქადაგება და მისი მოკვდინება ეწადათ, მაგრამ ღვთის მადლით გადაარჩა.

გავიდა უამი. ურჯულოთა ზედამდგომელობით და წარმართთა შიშით ქართველებმა დაივიწყეს შემოქმედი თვისი და ჯვარცმული მაცხოვარი.

წმიდა გიორგი კაბადუკიელის (ხს. 23 აპრილს და 10 ნოემბერს) წამების ყამს კაბადუკიაში ცხოვრობდა მართლმორწმუნე ცოლ-ქმარი ზაზულონ და სოსანა (ხს. 20 მაისს). მათ ჰყავდათ ასული ნინო (ხს. 14 იანვარს და 19 მაისს). სოსანა იერუსალიმის პატრიარქის, იუზენალის და იყო. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა თავი უფლისათვის შეეწირათ, თავიანთი ქონება ღარიბებს დაურიგეს, მცირეწლოვანი ასული ძიძას ჩააბარეს აღსაზრდელად, თვითონ კი განდევნილ ცხოვრებას შეუდგნენ. ნინოს აღმზრდელი მოუთხოვრებდა უფლის ენებების, ჯვარცმის, დაფლვის, აღდგომის, აგრეთვე მისი ტილოსა და სუდარის შესახებ. როცა მან შეიტყო, რომ უფლის უკრველი კვართი დაფლული იყო წარმართთა ქალაქში, გადაწყვიტა ცოლ-ქმარები ქრისტეს სჯულზე მოექცია. იგი დაუმეგობრდა მეფის ასულ რიფსიმეს და მის გამზრდელს, გაიანეს (ხს. 30 სექტემბერს), რომლებიც ორმოცდაათ ქალწულთან ერთად ილტვოდნენ უსჯულო მეფის, დიოკლეტიანესგან და მათთან ერთად ჩავიდა სომხეთში. სომხეთის მეფის, თრდატის მიერ წმიდა ქალწულმონაშეთა მოწყვეტის შემდეგ, სიკვდილს სასწაულებრივად გადაარჩენილი ნინო ჯავახეთის მთებში ქართლში გადავიდა.

ამ დროს ქართლში მეფობდა მირიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. მირიანი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა: თავიანთს სცემდა ცეცხლსა და ქართულ კერპებს, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული, მის ყურამდე მისული იყო წმიდა კონსტანტინე დიდის (ხს. 21 მაისს) მიერ მტრის სასწაულებრივი ძღვევის ამბავი.

ქართლში მოსული ნინო უბრნისში ჩავიდა და ურიათუბანში დასახლდა. ოციოდე დღის შემდეგ მთელი ქართლი დაიძრა წარმართული ღვთაების, არმაზის

დღეისაწაულიყო. დღეისაწაულიყო მთელი სამეფო კარი ესწრებოდა. წმიდა ნინომ ლოცვა აღავლინა ღვთის წინაშე და არმაზის, გაცის და გაიამის კერპები სასწაულებრივ დაიმსხვრა. ნინო მცხეთაში დასახლდა. ის ყველას ეკითხებოდა კვართის ამბავს, მაგრამ მისი აღვილსამყოფელი არავის ახსოვდა. ამ ძიებაში ნინომ გაიცნო მცხეთელ ჰურიათა მღვდელმობძღვარი აბიათარი, ელიოზის შთამომავალი, მისი ასული სიღონია და კიდეც ექვსი დედა. წმიდა ნინომ ისინი ქრისტეს სჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან მღვდელი არ იყო, ნათლისღების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ.

წმიდა ნინომ უფლისგან კურნების ნიჭი მიიღო. ის ჯვარცმული მაცხოვრის სახელითა და ვაზის ჯვრით მადლით კურნავდა დაერდომილებს.

ნანა დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქადაგებას, გმობდა ახალ მოძღვრებას და მის მქადაგებელს. მირიან მეფეს კი „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა და არა დააბრკოლებდა ქადაგებლ ნინოს და მოწაფეთა მისთა“. ერთხელ მან ებრაელთა დენვისაგან ფარულად დაიხსნა აბიათარ მღვდელი, ასული მისი სიღონია და სხვა ქრისტიანები.

გავიდა ხანი. ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმიდა ნინოს ლოცვამ იგი უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა. დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე ქრისტეს სჯულით დაინტერესდა და ურიაყოფილ აბიათარს ხშირად ეკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. აბიათარმა მას ნებროთის წიგნი წააკითხა. მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა.

ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მოუხდა ურინო მტერი, გულში კვლავ ჩაუღო კერპთა და ცეცხლის სიყვარული და მახვილით მოწყვეტა ქრისტიანთა. მან გადაწყვიტა მცხეთაში დაბრუნებისთანავე ქრისტიანთა განდევნა და ნინოს მოკვდინება. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუხებლდა, უკუნე ღამე ჩამოეწვა. შემეინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძობი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავდრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა. მირიანმა განიპყრა ხელნი აღმოსავლისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“. მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა, მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისთვის.

სანამ კონსტანტინეპოლით გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდნენ, მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ

დაძრეს. წმიდა ნინო მოწაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლად ცეცხლითა მოზღარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისცემად, მის მიახლოებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრძემს თვალები ეხილებოდათ, დაერდომილები აღსდგებოდნენ.

ამასობაში კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდნენ მოციქულები. მათ ჩამოჰყენენ: იოანე ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. წმიდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი – კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელ ილო მეფემ, დედოფალმა, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა. საზეიმო ნათლისღების შემდეგ იოანე ეპისკოპოსი და მისი თანმხლებნი ერუშეთს წავიდნენ, აღაშენეს ეკლესია და დატოვეს სასჭვალი უფლისა, შემდგომ მანგლის დაიწყეს ეკლესიის შენება და აქ ძელიცხოვლის ნაწილი დაასვენეს.

მირიან მეფე შეწუხდა. მას სურდა სატახტო ქალაქშიც ყოფილიყო დასვენებული სიწმინდეები. წმიდა ნინომ მეფეს უთხრა, რომ მცხეთაში დიდი სიწმიდე უფლის კვართი ინახებოდა. მეფემ აბიათარ მღვდელი დაიბარა, კვართის ამბავი გამოჰკითხა და სიხარულით აღიესო.

მცხეთაში ერთი კლდის თავზე მშენიერი, სურნელოვანი, სასწაულთმოქმედი ხე იდგა. მისი ფოთლით ისარნაკრავი მომაკვდავი ნადირი იკურნებოდა. როდესაც იოანე ეპისკოპოსს ეუწყა ეს ამბავი, ბრძანა: „ქეშმარიტად ღვთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი და დამარხულ ყამისა მისთვის და აწლა მოეფინა მადლი ღვთისა ქართლსა და მის ხისგან ჯერ არს შექმნა ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანის სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“.

მირიან მეფის ძემ, რევიმ, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით და ერის თანხლებით, მოჭრა ხე, რტოებითურთ წამოასვენა და ეკლესიის სამხრეთით აღმართა. ხეს ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში არც ფერი შეუცვლია, არც ფოთლები დასცვენია. შემდგომ ამ ხისგან სამი ჯვარი გააკეთეს.

ამის შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში ხალხი ერთსა და იმავე ჩვენებას ხედავდა: ღამით ეკლესიას ვარსკვლავებით გარშემორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა თავს, განთიადის ორი ვარსკვლავი გამოეყოფოდა სხვებს, ერთი აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, მეორე კი – დასავლეთისაკენ, თავად ცეცხლოვანი ჯვარი თავ არაგვის გაღმა, კლდოვანი ზორცვის თავზე ჩერდებოდა და იქიდან ურინარდებოდა ზეცაში. ამ სასწაულის გამო წმიდა ნინოს რჩევით მეფემ ერთი ჯვარი დასავლეთით თხოთის მთაზე აღამართინა, მეორე – ქალაქ უჯარამში, მესამე ჯვრისთვის კი ადგილი ვერ შეარჩიეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მიენიშნებინა ადგილი, სადაც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორწმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ ჯვარი აღმართა არაგვის გაღმა კლდოვან ზორცვზე.

როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღიძრა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სიკვდილის წინ მეფემ აკურთხა ძე თვისი ბაქარი, ანდერძად დაუტოვა წმიდა სამების ერთგულეზა, ბრძოლა კერპების წინააღმდეგ და ღვთივ მიიხვენა. წმიდა კეთილმსახური მეფე საკუთარი სურვილისამებრ დაკრძალეს ზემო ეკლესიაში (სამთავროს დედათა მონასტრის ეკლესია). მან არ ისურვა დასაფლავება ქვემო ეკლესიაში (სვეტიცხოველი), რომელსაც „წმიდათა წმიდა“ ერქვა, იმ მოკრძალებისა და რიდის გამო, რომელიც დიდებული ნათლის სვეტის წინაშე ჰქონდა. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ნანა დედოფალიც და დაიკრძალა იქვე, მირიან მეფესთან.

# 50 წელი უნივერსიტეტის სამსახურში

ჩვენს უნივერსიტეტს დამსახურებული ადგილი უჭირავს ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში. წლების განმავლობაში იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვალიფიციური კადრების მომზადების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროდუქციის შექმნის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში წიგნიერების დონის ამაღლების საქმეში. ბუნებრივია, უნივერსიტეტი მხოლოდ შენობა არ არის, მის სახელს, იტორიასა და ტრადიციებს ადამიანები ქმნიდნენ. პერიოდულად ვცდილობთ საზოგადოებას ამ ისტორიისა და ტრადიციების შემქმნელზე მოვუთხროთ, მით უფრო, როცა ბევრი მათგანი ახლაც მუხლჩაუხრელად ემსახურება სათაყვანებელ საქმეს და მშობლიურად ქცეულ დაწესებულებას.

**ამჯერად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ღვაწლმოსილ თანამშრომელს, დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილების გამგეს, ქალბატონ მერი ლომინაძეს გვინდა მივულოცოთ უნივერსიტეტში მუშაობის 50 წელი.**

„ქალბატონი მერი დაიბადა 1940 წლის 1 ოქტომბერს. ბათუმის ილია ჭავჭავაძის 4 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის კულტურის საგანმანათლებლო სასწავლებელში ბიბლიოთეკათმოდნობის ფაკულტეტზე. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1962 წელს, მუშაობა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმოდნობის და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1968 წელს.

1972 წელს დაინიშნა ბიბლიოთეკის გამგედ, იმუშავა 1979 წლამდე და ოჯახური პირობების გამო (მცირეწლოვანი ბავშვები), საკუთარი განცხადების საფუძველზე გადავიდა რიგით ბიბლიოთეკარად. ქალბატონი მერი პარალელურად, წლების განმავლობაში ასწავლიდა ბიბლიოთეკათმოდნობას.

მერი ლომინაძე ბიბლიოთეკაში მუშაობას უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იყო მოსახლეობის საკავშირო აღწერის სამგზის მონაწილე. მიღებული აქვს მადლობა კოსიგინის ხელმოწერით. საზოგადოებრივ სანყისებზე 17 წლის მანძილზე ავსებდა სტუდენტთა დიპლომებს. იყო საუნივერსიტეტო გაზეთის რედკოლეგიისა და პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1995 წლიდან დღემდე მუშაობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამუშავებისა და დაკომპლექტების განყოფილების განყოფილების გამგედ.

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები ქალბატონ მერის განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღესა და უნივერსიტეტში მოღვაწეობის 50 წელს.**

ქალბატონო მერი, არ მეგულება უნივერსიტეტში ადამიანი, რომელიც თქვენ შესახებ თბილად და სიყვარულით არ საუბრობდეს... ნახევარი საუკუნეა ჩვენს სტუდენტსა თუ პროფესორს გაუწიოთ კვალიფიციური დახმარება-კონსულტაცია. თქვენი პროფესიონალიზმით და პიროვნული თვისებებით გარშემოცხადებთ მოკრძალებასა და პატივისცემას იმსახურებთ.



დაბადების დღეს გილოცავთ, ჯანმრთელობასა და მხნეობას გისურვებთ, რათა კიდევ დიდხანს ემსახუროთ თქვენს საყვარელ საქმეს, კიდევ მრავალ ახალგაზრდას გაუღვიძოთ წიგნისა და წიგნიერების სიყვარული. იხარეთ და იდღეგრძელოთ! — **ნათია ნიკლაშვილი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.**

ბიბლიოთეკის დირექტორი **ლელა თურმანიძე** ქალბატონ მერის ახასიათებს როგორც ერთ-ერთ გამოცდილ, სანდო და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელს. ხაზს უსვამს აგრეთვე მის სათნო და კეთილშობილ ხასიათს და დასძენს: „დაე, დიდხანს გვყოლოდეს ქალბატონი მერი ჯანმრთელი, თავისი სათაყვანებელი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებით და საყვარელი საქმის კეთებით სახეგაბრწყინებული. თავს უფლებას მივცემ, ქალბატონ მერის დაბადების დღე არა მარტო ჩემი, არამედ ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისა და მკითხველის სახელით მივულოცო.“

პროფესორი **იური ბიბილევი** ბიბლიოთეკას უნივერსიტეტის დიდ სახლს უწოდებს, ხოლო ქალბატონ მერის კი ამ სახლის საპატიო დიასახლისს: „უნივერსიტეტის (პროფესორი, სტუდენტი, დოქტორანტი, მაგისტრანტი) დიდი სახლი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაა. ამ სახლში ბინადრობს კაცობრიობის სიბრძნე. თუ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მდიდარია და მკითხველთა მომსახურების კულტურაც მაღალ დონეზეა, საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა უბანზე წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ამჯერად მკითხველთა მომსახურების მაღალ კულტურაზე მინდა ვთქვა სიტყვა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მკითხველთა მომსახურების მაღალი კულტურის დამკვიდრებაში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქალბატონ მერი ლომინაძეს, ქ-ნი მერი საბიბლიოთეკარო დარგში უმაღლესი განათლების სპეციალისტია. ის ათეულობით წელია ემსახურება უნივერსიტეტს და ამ ხნის განმავლობაში მე არ მინახავს ბიბლიოთეკიდან გულნატკენი გამოსული მკითხველი. ქ-ნი მერი არა უბრალოდ წიგნით ემსახურება მკითხველს, არამედ ეხმარება მას საჭირო ლიტერატურის შერჩევაში ალტერნატიული გამოცემის შეთავაზებით. ამაში მას ეხმარება როგორც წიგნადი ფონდის ცოდნა, ისე პიროვნული თვისებები, მოვალეობის, პასუხისმგებლობის ღრმა შეგნება და პროფესიონალიზმი. ასეთი პროფესიონალები ამშვენებენ კოლექტივს. ქალბატონი მერი ლომინაძე დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს უნივერსიტეტის მრავალათასიან კოლექტივში. სიამოვნებით ვულოცავ მას დაბადების დღეს...“

„ქალბატონო მერი მე 1981 წლის

სექტემბერში გავიცანი. ეს იყო ჩემი პირველი სამუშაო დღე ბიბლიოთეკაში. მაშინდელი ბიბლიოთეკის შესასვლელში შემხვდა ნაზი ლიმილით, მოფერებით შემიძღვა ჩემს ახალ სამსახურში და მოკლედ გამაცნო ბიბლიოთეკაში მუშაობის წესები. იმ დღიდან ერთად მოვდივართ, ერთად ვიზიარებთ ჭრსა და ლხინს. დაბადების დღეს გილოცავთ ქალბატონო მერი, სითბო და სიყვარული არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ლამაზ ოჯახს“ — ამბობს ბიბლიოთეკის თანამშრომელი **ლილი ტიკარაძე.**

ჩვენთან საუბარში უნივერსიტეტის ასევე დამსახურებული თანამშრომელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ილია კეჭყვიძლე არა მარტო ულოცავს ქალბატონ მერის დაბადების დღეს, არამედ ფსიქოლოგის თვალთ დანახულ მის ხასიათსა მოქალაქეობრივ ღირებულებებსაც უსვამს ხაზს: „ყველა იმ მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრეთა შორის, რომელიც კაცობრიობას დაუგროვებია თავისი არსებობის მანძილზე, ერთ ერთი უმდიდრესი და ფასდაუდებელი საუნჯეა ცოდნის „ოქროს ყუთი“ — წიგნი და მისი წინამორბედი — ინფორმაციის შემნახველი პაპირუსები თუ წარწერები. თანამედროვე საზოგადოებაში წიგნების ერთ-ერთი „თავშესაფარი“ და მისი გამოყენების წმინდა ადგილია ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტის ახლანდელი ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შორის ერთ ერთი საპატიო ადგილი უკავია მერი ლომინაძეს. მას ვიცნობ პედაგოგიურ ინსტიტუტში მოსვლის დღიდანვე. იგი მუშაობდა უნივერსიტეტის რიგით თანამშრომლად და გამგედ.

ნებისმიერ ადამიანიში არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები, რომლებიც ჩამოყალიბდებიან და გაერთიანდებიან ხასიათის სახით. იგი ცალკეული ფსიქიკურ ნიშან-თვისებათა კომპლექსია.

მერი ლომინაძის ხასიათის სტრუქტურაში ჭარბობს დადებითი თვისებები. იგი არის თავმდაბალი, თავშეკავებული, ჭკვიანი, განათლებული, მტკიცე ნებისყოფის მქონე და პრინციპული. აღსანიშნავია მისი მეტყველების კულტურა და წერილი უნარ ჩვევები, დახვეწილი ქართული შრიფტის კალიგრაფიულად გამოხატვის უნარი. მასსოვს, როცა ლოზუნგების და თვალსაჩინო წარწერების შესრულებას ავალბდენ, როგორი პასუხისმგებლობით და ხარისხიანად ასრულებდა მას. არის დისციპლინური, საქმის ზუსტი შემსრულებელი, ადამიანებთან ურთიერთობაში ტაქტიანი, მისთვის უცხოა უხეშობა და გულგრილობა სტუდენტებთან და მით უმეტეს, ლექტორ-თანამშრომელთა მიმართ.

ქალბატონი მერი ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ადვილად შეთავსებადი, წყნარი და მორიდებული, კეთილმოსურნეა. გარდა საზოგადოებრივ და პროფესიონალურ საქმიანობაში წარმატებისა, მან ასევე ღირსეულად შეასრულა და ამჟამადც ასრულებს ისეთი სოციალური სფეროს გონივრულ დიასახლისობას, როგორცაა ოჯახი.

ჩემო მერი! გილოცავ! გისურვებ ჯანმრთელობას, ბიბლიოთეკაში კიდევ დიდხანს თანამშრომლობას, შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობას.“

მილოცვებს გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ რედაქციაც უერთდება. მკითხველის სახელით ქალბატონ მერის ხანგრძლივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვუსურვებთ.

**II საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“ გაიხსნა.**



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში II საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“ გაიხსნა. 150-მდე მეცნიერი სამი დღის განმავლობაში კომპიუტინგის, ინფორმატიკის, განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებლის განათლების დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელებს. კონფერენციის მიზანია მეცნიერებს შორის დისკუსიის გამართვა და საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე სამეცნიერო კვლევების გაცნობა. სესიაზე წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის გაერთიანება ითვალისწინებს ინტერდისციპლინური მიმართულების განვითარებას, ერთ სფეროში მიღებული შედეგების სხვა მიმართულებაში გამოყენებას, ასევე ინფორმატიკაში შემუშავებული მეთოდებისა და მოდელების განათლების მეცნიერებებში დანერგვას.

კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის „ინტელექტი“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, თბილისის ლია სასწავლო უნივერსიტეტისა და განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება.

**„დიგიტალიზებული პარალელური კოლიტოლოგიის კორპუსი“**



შოთა რუსთაველის დარბაზში პროექტის „დიგიტალიზებული პარალელური პოლიტოლოგიის კორპუსი“ ფაგვებში მრგვალი მაგიდა გაიმართა. რუსუ-სა და ფრანკფურტის უნივერსიტეტის მეკლავრებმა ერთობლივ სამეცნიერო მუშაობის შედეგები შეაჯამეს და მომავალი კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტებზე იმსჯელეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფრანკფურტის უნივერსიტეტის, აშშ-ს კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა პირველი ერთობლივი საერთაშორისო პროექტი განახორციელა და პარალელური კორპუსის ელექტრონული დამუშავების შედეგად შექმნა ელექტრონული პოლიტიკური ტერმინების ლექსიკონი ქართულ ენაზე. პროექტის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა „ენის კორპუსი და მისი მნიშვნელობა სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ინოვაციების დანერგვის მიზნით“, „დიგიტალიზებული თარგმნის კორპუსზე მუშაობის სპეციფიკა, გამოყენების სფეროები“ და „სამომხმარებლო პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისთან მუშაობა“.

პროექტი „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ პროგრამა G-PAC-ის (საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში) ერთ-ერთი კომპონენტის — უმაღლესი სასწავლებლების მხარდაჭერის გრანტების ფარგლებში დაფინანსდა.



# ბიოლოგიის დეპარტამენტი 2011-2012 სასწავლო წელს ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

## „შავი ზღვის დაცვის დღე“

2011 წლის 25-26 ოქტომბერს

CENN-მა განახორციელა კლიმატის ცვლილების კვირეული ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. CENN-ის პროგრამის მიზანი იყო საქართველოს მასშტაბით რამდენიმე „კლიმატური ცხელი წერტილებიდან“ სტუდენტების მოწვევა, კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლება და მდგრადი განვითარების ხელის შეწყობა.



აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეკოლოგიის სპეციალისტების მესამე კურსის სტუდენტებმა (თამარ წულუკიძე, თამარ ბარამიძე, ლაშა მიქელაძე, გიორგი ჯაყელი). მათ გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

31 ოქტომბერს მოენყო შავი ზღვის დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სადაც ეკოლოგიის კურსის სტუდენტები ჟიურის წევრები იყვნენ, ხოლო მომხსენებლები კურსის სტუდენტები. კონფერენციის მონაწილეებისათვის ბიოლოგიის დეპარტამენტმა მოაწყო სასწავლო-საველე ექსკურსია გემით შავი ზღვის აკვატორიაში მარშუტით: ჭოროხის შესართავი-მწვანე კონცხი. აღებულ იქნა ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონისა და მაკროზოობენტოსის სინჯები, განსაზღვრულ იქნა ზღვის წყლის ხარისხი.

2011 წლის ნოემბრის თვეში არასამთავრობო ორგანიზაცია „ბორჯღალოს“-მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „მოხალისეები“, მონაწილეობა მიიღეს ეკოლოგიის სპეციალისტების მესამე კურსის სტუდენტებმა. მათ გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

2011 წლის 28 დეკემბერს ეკოლოგიისა და ბიოლოგიის სპეციალისტების კურსის სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საახალწლო ღონისძიებებშიც. სტუდენტებმა მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია დღეობით — „ჩვენც დავებრძობით“. ისინი ეწვივნენ ბათუმის წმიდა მონამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სახანეს. მათ სავანის მონინადრეებს ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი გადასცეს.

2011 წლის გაზაფხულზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგიის დეპარტამენტში სტუმრად იმყოფებოდა აშშ-ს ენერჯეტიკის სააგენტოს თანამშრომელთა ჯგუფი. ისინი დაინტერესებული იყვნენ პოსტსაბჭოური სივრცის რესპუბლიკებში რადიაციის მიტოვებული კერების შესწავლით. ასეთი, კერების ჩამონათვაში დასახელებულ იქნა დაბა ანასეულის რადიოაქტიური კვლევის ყოფილი ლაბორატორია (ქალაქი ოზურგეთი) და რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზები.

მიმდინარე წლის 26 აპრილს საქართველოში, კერძოდ ბათუმში აშშ-დან სტუმრად ჩამოვიდა სპეციალისტთა გუნდი. სასტუმრო რედისონში 27 აპრილს გაიმართა ერთკვირიანი ტრენინგები, სადაც მინვული იყო აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო, ქალაქ ფოთის გარემოს დაცვის ინსპექციის ახალგაზრდა სპეციალისტები და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სპეციალისტების კურსის სტუდენტი ლაშა მიქელაძე, რომელმაც მიიღო სერთიფიკატი, ამასთან უნივერსიტეტს საჩუქრად გადმოეცა რადიაციის საველე დოზიმეტრი და ალფა, ბეტა, გამა უნივერსალური სტაციონარული დოზიმეტრი.

23 აპრილი 2012 წ.

შპს ელიტური სკოლა „გორდა“-ს მასწავლებელი ნინო ძნელაძე თავის მოსწავლეებთან ერთად ეწვია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტს. ემერიტუსმა თემურ გუგუაძემ მოსწავლეებს ჩაუტარა საჯარო ლექცია თემაზე: „შავი ზღვის ისტორიომრავალფეროვნება, იშვიათი ფორმები და მათი კონსერვაციის პრობლემები“.



26 აპრილს, 15:00 სთ, 306 აუდიტორიაში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით მოწყობილი რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი. ბიოლოგიის სექციაზე წარმოდგენილი იქნა 10 რეფერატული ნაშრომი. ობიექტურმა ჟიურმა მათგან შექმო 3 საუკეთესო ნაშრომის გამოვლენა.

I ადგილი „პროგნოზი — ნადრევი დაბერების სინდრომი“. მომხსენებელი: ვასილ სურმანიძე, ანა ზაქარაძე; მეცნიერ-ხელმძღვანელი სრული პროფესორი: რუსუდან ხუბუნიანი.

II ადგილი „სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ბიოეთიკაში“. მომხსენებელი: ია მურვანიძე; მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასისტენტი პროფესორი: ნინო ლომთათიძე.

III ადგილი „უნაყოფობის მიზეზები და in vitro განაყოფიერება“. მომხსენებელი: თინათინ ვარშანიძე და ნინო მანველიძე; მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასისტენტი პროფესორი მარინა ნაგერვაძე.

ასისტენტი პროფ. მ. ნაგერვაძის რეკომენდაციითა და დაკვალიანებით 12 სტუდენტი დარეგისტრირდა და მონაწილეობა მიიღო სპეციალურად პირველკურსელთათვის გამოცხადებულ რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში.

4 მაისი 2012 წ.

ბიოლოგიის დეპარტამენტის არჩევითი ბლოკის მესამე კურსის სტუდენტები, ასისტ. პროფ. ინგა დიასამიძისა და ამავე კურსის კურატორის თეა ქოიავას თანხლებით, იმყოფებოდნენ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე



„ექსპო ბათუმი — 2012“. სტუდენტებმა დაათვალიერეს სხვადასხვა ტურისტული კომპანიების მიერ წარმოდგენილი მასალა, მათ შორის, ეკოტურიზმის მიმართულებით.

14 მაისი 2012 წელი

ბიოლოგიის დეპარტამენტისა და „Batumi Raptor Count“-ის (BRC) ორგანიზებით სოფ. სახალვაშოში მოენყო საველე კვლევა, რომელიც ეხებოდა მიგრირებადი ფრინველების მონიტორინგს. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ეკოლოგიისა და ბიოლოგიის პირველი კურსის სტუდენტებმა. მომავალში



დაინტერესებული სტუდენტები ჩაერთვებიან BRC-ის მიერ განხორციელებულ პროექტებში.

17 მაისს ბიოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

მოსხენებები ბიოლოგიის სექციაზე:

1. თინათინ ვარშანიძე, ეთერ დავითაძე — „ორგანოგენეზი და კვებითი რეჟიმის დაცვა ორსულობის პერიოდში“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. მ. ნაგერვაძე  
2. ვასილ სურმანიძე, ანა ზაქარაძე — „პროგნოზი — ნადრევი დაბერების სინდრომი“

ხელმძღვ. სრ. პროფ. რ. ხუბუნიანი  
3. ია მურვანიძე — „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები ბიოეთიკაში“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ნ. ლომთათიძე  
4. თამარ გორგოშაძე — „ემბრიონალური განვითარების დროს დაფიქსირებული ემბრიოპათიები“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. მ. ნაგერვაძე  
5. თინათინ ვარშანიძე, ნინო მანველიძე — „უნაყოფობის მიზეზები და ინვიტრო განაყოფიერება“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. მ. ნაგერვაძე  
6. თეონა ხუციშვილი — „დიაგნოსტიკური ნიშნები მცენარეული ნედლეულის განსაზღვრისათვის“.

ხელმძღვ. აკად. დოქტორი ე. ჯაყელი  
7. ლაშა ბობოხიძე — „სამკურნალო მცენარეთა გამოყენების ისტორია“

ხელმძღვ. აკად. დოქტორი ე. ჯაყელი  
18 მაისს ბიოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

მოსხენებები ეკოლოგიის სექციაზე:

1. ლედი დეკანაძე, დარინა ნაკაიძე — „აჭარის მთიან ტერიტორიებზე მცენარეულობის ეკოლოგიური პრობლემები“.

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. გვარამიშვილი  
2. ინგა შავაძე — „მტირალას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება და მენეჯმენტის გეგმა“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ი. დიასამიძე  
3. თამარ შერვაშიძე, თეონა ბერიძე — ეკოლოგიური აგრესია და ჯანმრთელობა“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. გ. დუმბაძე  
4. ნინო მეგრელიშვილი, ლანა ბასილია — „საქართველოს ტყეების ეკოლოგიური პრობლემები“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ნ. გვარამიშვილი  
5. მალვინა ბოლქვაძე — „ინვაზიური პროცესები აჭარის ზღვისპირა ზოლის მცენარეულობაში“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ნ. გვარამიშვილი  
6. ნათია შოთაძე, თორნიკე ტაბატაძე — „საქართველოს წითელი ნუსხა“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ი. დიასამიძე  
7. თამარ ბარამიძე, სოფო ბეჟანიძე, ქრისტინა ნოლაიდელი — „ხელოვნური მცენარეულობის განვითარების დინამიკა აჭარის ზღვისპირა ზოლში“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ნ. გვარამიშვილი  
8. სოფიკო დიასამიძე, ლაშა ხაჩიძე — „აჭარის იშვიათი და გადაშენების პირას მდგომი ცხოველები“

ხელმძღვ. აკად. დოქტორი ლ. ჟღენტი

9. ლანა კოდანოვი — „ოჯახი ბაიასებრთა სისტემატიკური სტრუქტურა აჭარის პირობებში“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ნ. ვარშანიძე  
10. დინარა დევაძე — „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის სამკურნალო მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნება“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ნ. ვარშანიძე  
11. მელანო კონცელიძე — „ტურიზმის ნეგატიური გავლენა ეკოლოგიაზე და მისი აღმოფხვრის გზები“

ხელმძღვ. დავით ქათამაძე  
12. ნათია აბულაძე, ნათია კოჩალიძე — „ხულოს რაიონის ხალხურ მედიცინაში გამოყენებულ სამკურნალო მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნება“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ნ. ვარშანიძე  
13. მზია წულუკიძე — „აჭარაში გავრცელებული ეთერზეთების შემცველი მცენარეები“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ნ. ვარშანიძე  
14. ნინო მანველიძე — „მდ. მეჯინისწყლის აუზის მცენარეთა მრავალფეროვნება“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ი. დიასამიძე  
ლანა კოდანოვი გახდა პირველი ადგილის მფლობელი, ხოლო თამარ ბარამიძე, სოფო ბეჟანიძე, ქრისტინა ნოლაიდელი (ხელ. ნ. გვარამიშვილი) მეორე ადგილზე გავიდნენ.

29 მაისს ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორთა ხელმძღვანელობით მომზადდა მოხსენებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციაზე: „ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს“.

1. ია მურვანიძე — „ჯანსაღი ცხოვრების წესი“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ნ. ლომთათიძე  
2. ნათია შოთაძე — „გენმოდული რეალური საფრთხე“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. ნ. ზარნაძე  
3. რუსუდან ვასაძე — „გააკეთე სწორი არჩევანი“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ლ. ახვლედიანი  
4. ანა ზენაიშვილი, გიორგი ჩავლეიშვილი — „ნიკოტინი და ჯანმრთელობა“

ხელმძღვ. აკად. დოქტორი ლ. ჟღენტი  
5. ასლან ბოლქვაძე, თორნიკე ტაბატაძე — „ალკოჰოლიზმი და მისი სოციალური შედეგები“

ხელმძღვ. ასისტ. პროფ. მ. ნაგერვაძე  
6. დავით ჩახვაძე, მელანო გიგიტიძე, ნატვრისა ხიმშიაშვილი — „სტრესის გავლენა ჯანმრთელობაზე“

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ლ. ახვლედიანი  
გარემოს დაცვის დღე — 5 ივნისი 2012 წ.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოენყო ვორქ-შოპი: „ჩვენი გარემო ჩვენს ხელშია“ ვორქ-შოპის დასრულების შემდეგ მოენყო ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ერთად ჭარნალის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ახალგაზრდებმა მოხსენებები გარემოსდაცვის პრობლემებზე, ზღვისპირა აჭარის იშვიათ მცენარეებზე, ცხოველებსა და მტირალას ეროვნული პარკის ბიომ-





რავალფეროვნების საკითხებზე წარმოადგინეს. ვორჟ-შოპი ბიოლოგიის დეპარტამენტის, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ბიომრავალფეროვნების კლუბისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა.



ბიოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ვორჟშოპი მტირალას ეროვნულ პარკში.



**ბიოლოგიის დეპარტამენტის** ორგანიზებით მოეწყო უცხოელი სტუდენტების შეხვედრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების სტუდენტებთან. გერმანელმა სტუდენტებმა თავიანთ თანატოლებს გაუზიარეს შთაბეჭდილებები საქართველოზე და მოახდინეს პრაქტიკის დროს შეგროვილი მასალის პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ალ. ბაკურიძე, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ქალბატონი მ. ქორიძე, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები.

უნივერსიტეტის რექტორმა გერმანელ სტუდენტებს საჩუქრად გადასცა უნივერსიტეტის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებულები, სუვენირები და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

**რ. ხუხუნიანიშვილის** მიერ ორგანიზებული სტუდენტთა პოსტერების პრეზენტაცია. საუკეთესო პოსტერის ავტორებს გადაეცათ სიგელები უნივერსიტეტის საიუბილეო წიგნი და ფლეშ მესსიერება.

**ბიოლოგიის დეპარტამენტის** ორგანიზებით განხორციელდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დეკორაციულ მცენარეთა ეტიკეტირება, ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების (ირაკლი მიქელაძე, მარიკა მეტრეველი) ხელმძღვანელობითა და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტთა (ლომაძე

ბაჩანა, ჭერიძე სანდრო, ბუკია ია) მონაწილეობით.

ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით ჩატარდა მე-3 სამეცნიერო სკოლა სემინარი: „ბიომედიცინის აქტუალური საკითხები“ ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.



საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენცია თემაზე: „ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები“.



ბიოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯგუფი სტუმრად ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან ბავშვთა დღეს — 1 ივნისს.



13.06-16.06 და 30.06-3.07 ეკოლოგიისა და ეკოლოგია მინორ სპეციალობის მესამე კურსის, მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტები ასისტენტ პროფესორების ნ.გვარიშვილის, ტ.ჩერნოვას და ემერიტუსის მ.დავითაძის ხელმძღვანელობით იმყოფებოდნენ გასვლით სანაჯ-



ლო-საველე კომპლექსურ პრაქტიკაზე სმელეთისა და წყლის ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაში შემდეგი მარშრუტით: ბათუმი, ნოქალაქევი, ტყიბული, შაორი, მესტია, უშგული, აჭარისწყლის ხეობა.



გამოსაცემად მზად არის ბიოლოგიის დეპარტამენტის ისტორია 2011-2012 წწ.

2011-2012 წწ. წარმატებით გაიარა აკრედიტაცია ჯერ ბიოლოგიისა და ეკოლოგიის, ოქტომბერში — საბაკალავრო, ხოლო შემდეგ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.

### 2012-2013 სასწავლო წელს ბიოლოგიის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ჩასატარებელი ღონისძიებები

№	ღონისძიებების დასახელება	ჩატარების დრო	პასუხისმგებელი ღონისძიებების ჩატარებაზე
1.	პირველკურსელებთან საზეიმო შეხვედრა და საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია.	10.09.12	დ.ბარათაშვილი ქ.დოლიძე რ.ხუხუნიანიშვილი
2	სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებთან შეხვედრა და პროგრამების პრეზენტაცია.	29.09.12	დ.ბარათაშვილი ა.დიასამიძე, რ.ხუხუნიანიშვილი
3	ჩატარდება შავი ზღვის დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია.	31.10.12	დ.ბარათაშვილი ინ.დიასამიძე, რ.ხუხუნიანიშვილი, ნ.გვარიშვილი, ნ.ლომთათიძე, თ.ქოიავა,
4	საქველმოქმედო აქციის მოწყობა დევიზით - "ჩვენც დავბერდებით".	25 დეკემბერი	დ.ბარათაშვილი, ქ.დოლიძე, რ.ხუხუნიანიშვილი, მ.ქორიძე
5	ბიოლოგიის დეპარტამენტისა და "Batumi Raptor Count"-ის (BRC) ორგანიზებით ჩატარდება სავალდებულო კვლევა მიგრირებადი ფრინველების მონიტორინგზე.	მაისი	დ.ბარათაშვილი, ლ.ახვლედიანი, ინ.დიასამიძე, ნ.გვარიშვილი, ნ.ზარნაძე, ლ.ქუდენტი,
6	სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება		დ.ბარათაშვილი ქ.დოლიძე, მ.ნაგერვაძე, გ.დუმბაძე
7	გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყობა ვორჟ-შოპი.	5 ივნისი	დ.ბარათაშვილი, ინ.დიასამიძე, ნ.გვარიშვილი, ნ.ლომთათიძე, ნ.ქედელიძე
8	რეფერატულ ნაშრომთა კონკურსის ჩატარება.	აპრილი-მაისი	მ.ნაგერვაძე, გ.დუმბაძე
9	დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ვორჟ-შოპის მოწყობა	22 აპრილი	დ.ბარათაშვილი, ი.მაჭუტაძე, ო.ცეცხლაძე, ნ.ვარშანიძე, ტ.ჩერნოვა
10	ღია კარის დღესთან დაკავშირებით შეხვედრების ჩატარება საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან.	დეკემბერი- თებერვალი	დ.ბარათაშვილი, ქ.დოლიძე, რ.ხუხუნიანიშვილი, ლ.ახვლედიანი, ნ.ლომთათიძე, ნ.გვარიშვილი, მ.ნაგერვაძე, გ.დუმბაძე, თ.ქოიავა
11.	ქ.ბათუმის №14 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობა.	მთელი სასწავლო წლის განმავლობაში	დ.ბარათაშვილი, გ.დუმბაძე, რ.ხუხუნიანიშვილი, ლ.ახვლედიანი,

ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სრული პროფ. დ. ბარათაშვილი



# ციტრუსოვან მცენარეთა გასხვლა მნიშვნელოვანი ღონისძიებაა

ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გაზრდის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მცენარის გასხვლასა და ფორმირებას, რაც უზრუნველყოფს ვარჯში მზის სხივების შეღწევადობას და ნაყოფის ხარისხისა და ზომის გაუმჯობესებას.

ციტრუსოვნები მარადმწვანე მცენარეების კატეგორიას მიეკუთვნება და მათ უფრო ნაკლები გასხვლა ესაჭიროება ვიდრე ფოთოლმცვენ მცენარეებს, თუმცა სტანდარტული ნაყოფისა და უხვი მოსავლის მისაღებად რეგულარულ გასხვლას საჭიროებენ. ხშირ შემთხვევაში უნაყოფო ტოტების მოჭრით იზრდება მოსავლიანობა, ხის სიმაღლის შემცირება აიოლებს მოსავლის

ფიცირებულს. ნიადაგური ან ატმოსფერული, ბაქტერიული და სოკოვანი პათოგენების შემთხვევაში სასხლავი ინსტრუმენტების სტერილიზაცია არ არის საჭირო. უმეტესად დაავადების გადამტანი ტანსაცმელია, თუმცა ზოგიერთი დაავადებებისა და სველი წყლის შემთხვევაში დაავადების წყარო ხდება სასხლავი ხელსაწყო.

სასხლავი ინსტრუმენტებით შეიძლება გადავიტანოთ ვირუსული დაავადებები იმის გამო, რომ ზოგიერთი ვირუსისა და დაავადების გამოვლენა და შესაბამისად, ღონისძიებების გატარება დროულად არ ჩატარდა; ისინი ხშირად გვხვდება ხანდაზმულ (50 მეტი ხნის) ხეებზე. ბოლო

შეიძლება ხე გაახმოს. მზისკენ მიმართული ტოტები უნდა შეიღებოს კირის წყალხსნარით. ხე იმგვარად უნდა გაიხსლას, რომ მაკრატლის მჭრელი კბილი ხისკენ იყოს მიმართული, ტოტები ისე უნდა მოიჭრას, რომ შენარჩუნდეს ტოტის ყელი. ტოტის ყელი ის ადგილია, სადაც დიდი(მსხვილი) ტოტი მიერთებულია ხესთან. მას აქვს უჯრედების ვიწრო სალტე, რომელსაც „ტოტის დამცავი ზოლსაც“ უწოდებენ. ის აქტიურებს „ჭრილობის დამცავი“ ნაშრობას, ანუ გამამკვრივებელი ქსოვილების წარმოქმნას ნასხლავის ირგვლივ. ტოტის დამცავი ზონა ასევე ხელს უწყობს ისეთი ანტისეპტიკური შენაერთის წარმოქმნას, რომელიც იცავს ხეს ლპობისაგან.

თუ ტოტების დიამეტრი 5 სმ-ზე ნაკლებია, ტოტის სტრუქტურის ძირითად შემადგენელს ცოცხალი ქსილემის უჯრედები წარმოადგენს, რომლებიც აქტიურად ატარებს წყალს და აქტიურებს ფოტოსინთეზს, რეზისტენტულია ლპობის ბაქტერიების მიმართ. ტოტებში, რომელთა ზომაც 5-10 სმ-ს აღემატება გულგული უფრო მკვრივია, ქსილემა ნაკლებად აქტიურია და არ არის რეზისტენტული ლპობის მიმართ. პატარა (წვრილი) ტოტების მოჭრის შემთხვევაში, ტოტის დამცავი ნაზარდი სწრაფად ფარავს ნასხლავს და იცავს ლპობის მაპროვოცირებელი ორგანიზმების შეღწევისაგან. თუ ტოტის ყელი დაზიანდა ან მოიჭრა, წარმოიქმნება უფრო მცირე რაოდენობის დამცავი ნივთიერება, რითაც იფარება მხოლოდ ანაქერის ნაწილი. ამერიკელ მეცნიერთა კვლევებით დადასტურებულია, რომ ანაქერის შეღებვა, ან კუპრის წასმა მასზე არ არის ეფექტიანი და ამით შეიძლება გაიზარდოს გადანაჭერ ადგილზე ლპობის მაპროვოცირებელი ორგანიზმების წარმოქმნა.

გასხვლის დროს ხდება როგორც ტოტების გამოხშირვა, ასევე მათი დამოკლება. ახალგაზრდა მცენარეები უნდა გადაიჭრას ჯერ კიდევ დარგვის დროს, თუ მათი სიმაღლე ძალზე დიდია. ახალგაზრდა ხის ფორმირების დროს უნდა მოიჭრას მინისკენ დაშვებული ტოტები, რათა მათი ზევით მყოფი ტოტები კარგად განვითარდეს. ნებისმიერი ყლორტი, რომელიც ხის ქვედა ნაწილში დაიწყებს ზრდას, ამოყრისთანავე უნდა მოიჭრას, ვინაიდან ისინი ადვილად და სწრაფად იზრდება და ხიდან იღებს ძალიან დიდი რაოდენობით საკვებ ელემენტებსა და წყალს, შემდეგ ამგვარადვე რჩება და არ მსხმოიარობს წლების განმავლობაში. მსხმოიარობის შემთხვევაშიც კი, მისი ნაყოფი დაბალი ხარისხისაა, ფუყვა და ამასთან დიდი ზომის.

ჩვენში ფართოდ გავრცელებული მანდარინის ჯიშის ფართოფოთლიანი უნშიუს ხე იტოტება ქვემოთ-მინისაკენ. ამგვარი ტოტები ხელს უშლის სარეველების მოცილებას, სასუქებისა და კომპოსტების შეტანას და წარმოადგენს ერთგვარ ბილიკს, რომლითაც მავნებლები ადვილად



ადიან ხეზე. მსხმოიარე ხეების ტოტები ზოგჯერ მინაზე გართმული, ნაყოფი კი ნიადაგს ეხება და შესაბამისად, ნაყოფს აქვს ნიადაგის პათოგენებით დასნებოვნების ალბათობა, რამაც თავის მხრივ შეიძლება დააზიანოს თვით მცენარეც (მაგალითად, სოკოებით) ან წარმოიქმნას საკვებისმიერი დაავადების რისკი. ამგვარი ტოტები უნდა შეიჭრას დაახლოებით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ისე, რომ ტოტების განლაგება იწყებოდეს მინიდან 75 სმ-ის სიმაღლეზე ციტრუსოვან მცენარეთა გასხვლა ასევე დადებითად მოქმედებს ნაყოფის ბიოქიმიურ შემადგენლობაზე. ის ნაყოფი, რომელიც ვითარდება მზის სხივებით განათებულ ტოტზე, გაცილებით მეტ შაქრებს შეიცავს და თანაც ხასიათდება უკეთესი საგემოვნო თვისე-

რომელთა შორის მნიშვნელოვანია გასხვლა. როდესაც ერთ წელს ხე ძალიან უხვად მსხმოიარობს, მან შეიძლება სრულიად ამონწროს თავისი რესურსი და მომავალ წელს მოისხას მხოლოდ მისი შესაძლებლობის მინიმუმი. გასხვლით კი შეიძლება მინიმუმამდე დავიყვანოთ ამგვარი არასტაბილურობა.

ხე მაქსიმალურად უნდა გაიხსლას იმ წელს, როცა მცირე მოსავალს იძლევა, რადგან თავიდან ავიცილოთ ძალიან დიდი მოსავლიანობა მომავალ წელს. „მსუბუქი“ წლის შემდეგ საფუძვლიანი გასხვლით ხეს საშუალება ეძლევა უფრო კარგად შეივსოს საკვებ ელემენტთა მარაგი და შემდგომი მოსავლიანობა დააბალანსოს.

ამრიგად, თუკი დროულად ჩავატარებთ ციტრუსოვან მცენარეთა გასხვლას და დავი-



ალებას, რაც ამცირებს შრომით დანახარჯებს და შესაბამისად, პროდუქციის თვითღირებულებას. ხის ქვედა ტოტების შეჭრა აადვილებს სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, ნიადაგის დამუღწვას და სხვა ანალოგიური სახის სამუშაოებს, ასევე ამცირებს ნიადაგში წარმოქმნილი ისეთი დაავადებებისა და პათოგენების გამრავლების რისკს, რომლებიც აზიანებენ ნაყოფს. გასხვლით მცირდება სხვადასხვა დაავადების გადამტანი მწერებისა და პარაზიტების გავრცელებაც. ციტრუსოვან მცენარეთა გასხვლა ისეთი ძირითადი იარაღებია-ინსტრუმენტები, როგორცაა: ხელის სასხლავი მკრატელი, მძიმედ(დიდი ზომის ტოტებისათვის) სასხ-

ვლებში ვირუსებისა და დაავადებებისაგან სტერილური ნერგებისა და კვირტების გამოყენებამ, საგრძნობლად შეამცირა მსგავსი დაავადების შემთხვევები.

ვირუსული დაავადება ციტრუსოვანთა პლანტაციებში ერთ ხესაც რომ აღმოაჩნდეს, საჭიროა სასხლავი ინსტრუმენტების დეზინფექცია ქლორიანი ხსნარით (ქლორიანი მათეთრებელი), ვინაიდან მაღალი ტემპერატურა ვირუსებს არ ანადგურებს. გასხვლა სიცხეების დანწყებამდე, ყინვების შემთხვევაში კი მოყინვის რისკის პერიოდის გასვლის შემდეგ ტარდება. თუ გასხვლის შემდეგ ისეთი ტოტები გამოჩნდება, რომელსაც ადრე მზის სხივები არ ხვდებოდა, უნდა ჩატარდეს ხეების „მზის დანვისგან“ დაც-



ლავი მკრატელი, სასხლავი ხერხი და ჯაჭვური ხერხი(დაბერებული მსხვილი ტოტებისათვის), უნდა იყოს კარგად გალესილი და დეზინ-

ვის ღონისძიებები. მზის სხივებით გამოწვეულმა დამწვრობამ შეიძლება ქერქის ხმობა და დასკდომა გამოიწვიოს, რამაც დროთა განმავლობაში



ბებით. აქედან გამომდინარე, სწორვარჯიან ხეებში უნდა ჩატარდეს ზედმეტი ტოტების ნორმირებული გამოხშირვა.

ისე როგორც ყველა ხეხილოვან კულტურას, ციტრუსოვნებსაც ახასიათებთ მენლეობა, რაც მათი ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მენლეობის რეგულირება შესაძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებების დროული გამოყენებით,

ცავთ სათანადო წესებს, ცხადია მივიღებთ სტანდარტული და საბაზრო ღირებულების მქონე ნაყოფს და ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდება მავნებელთა რიცხოვნობა და მათ მიერ გამოწვეული ზარალი.

**სოთხ ლამპარაძე**  
აგარარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.





# მეგობარი და დაგვიხარებელი



თეა ქოიავას 2001 წლიდან ვიცნობ, მას შემდეგ, რაც ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე ბიოლოგიის სპეციალობის სტუდენტი გახდა. თავიდანვე იმ დროისათვის არსებულ ბიოლოგიის კათედრაზე, კოლეგებისაგან ხშირად მესმოდა ქება მისი გამორჩეული ნიჭიერების, ღრმა აზროვნების, სანიმუშო ქცევისა თუ აკადემიური მოსწრების შესახებ. ეს არც გაგვიკვირებია, რადგან მანამდე უკვე ჩვენი სტუდენტი იყო მისი და ლია ქოიავა, ფრიადოსანი, წარმატებული, უაღრესად თავმდაბალი და მორიდებული გოგონა.

მეოთხე კურსზე მისი სწავლის პერიოდში უკვე მეც მქონდა თეასთან ახლო ურთიერთობის საშუალება. ის, პირველ რიგში თბილი ღიმილით გიზიდავდა, შემდეგ კი საოცრად თავისუფალი, უკომპლექსო, ღრმა და სხარტი აზროვნებით, საკითხის სიღრმისეული ინტერესით, „ჭკვიანური“ კითხვებით, ნიჭიერებით, თავაზიანი ქცევითა და კულტურით. მეგობრებისაგან ორგანიზატორული ნიჭითა და ლიდერის თვისებებით იყო გამორჩეული. ცხადია, სამეცნიერო კვლევაზე არანაკლებ აინტერესებდა, და, თითქმის ყოველ წელს სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებებით გამოდიოდა და საპრიზო ადგილებს ისაკუთრებდა.

2005 წელს ბაკალავრიატის წარმატებით დასრულების შემდეგ თეამ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები მაგისტრატურაში, სადაც მისი სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდით. ნაშრომის თემა იყო „B-ჰეპატიტის კორელაცია სისხლის ჯგუფურ ანტიგენებთან და დაავადებულთა პურორული იმუნური სტატუსის შესწავლა“, შესაბამისად, ის დიდ დროს ატარებდა იმუნოგენეტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, ხიბლავდა ლაბორატორიული კვლევა და დიდი ინტერესით ანალიზებდა თავისი კვლევის შედეგებს. ცხადია, სამაგისტრო ნაშრომი წარმატებით დაიცვა და შესაბამისი ნაშრომებიც გამოქვეყნებული აქვს.

სწავლის დამთავრებისთანავე თეა ქოიავამ მუშაობა სამედიცინო პედაგოგიურ კოლეჯში დაიწყო. უნდა გენახათ მისი ხალისიანი, თბილი, ნოვატორული დამოკიდებულება თავისი სტუდენტების მიმართ, რის გამოც მან სულ მალე გამოცდილი პედაგოგის მსგავსი დიდი ავტორიტეტი, ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. იქ სულ ოთხი წელი იმუშავა და ყოველ წელს ქების

სიგელი აქვს მიღებული აქტიური პედაგოგიური საქმიანობისა და სტუდენტთა კონფერენციებზე მისი ხელმძღვანელობით წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების წარმატებებისათვის.

2006 წელს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე ხუთი ბიოლოგიური კათედრის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ბიოლოგიის დეპარტამენტი, თავისი მრავალრიცხოვანი აკადემიური პერსონალით. 2007 წელს, დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის, ქალბატონ მარინა ქორიძის გადაწყვეტილებას, თეა ქოიავას დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად დანიშნის შესახებ, დეპარტამენტის უკლებლივ ყველა თანამშრომელი სიხარულითა და დიდი მოწონებით შეხვდა, ის მართლაც ღირსეული კადრი იყო... ასე დაბრუნდა თეა კვლავ უნივერსიტეტში და ის ჩვენი, თავისი პედაგოგების, ღირსეული საყვარელი უმცროსი კოლეგა და მეგობარი გახდა.

დღეს, უკვე განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში სასწავლო აღმზრდელი მუშაობას ეწევა 4 ემერიტუსი პროფესორი, 3 სრული, 6 ასოცირებული და 7 ასისტენტ პროფესორი, მოქმედებს ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულებით საბაკალავრო, ბიოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს

პროფ. დავით ბარათაშვილისა და პროფესორ-მასწავლებლების ღვაწლთან ერთად განუზომელია მთავარი სპეციალისტის — თეა ქოიავას როლი.

სპეციალისტად მუშაობას ის კარგად უთავსებს პედაგოგიურ-აღმზრდელი მუშაობასაც. მას მიჰყავს პრაქტიკულ-ლაბორატორიული კურსი სხვადასხვა ბიოლოგიურ დისციპლინაში, არის ეკოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის კურატორი. უნდა ნახოთ თეა თავისი სტუდენტების გარემოცვაში მოფუსფუსე, მათი ახლო მეგობარი, დამრიგებელი და გზის გამკვალავი, სხვადასხვა სამეცნიერო-ბიოლოგიური თუ საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე.

თეა დღეს დახვეწილი, საქმის მცოდნე და ერთგული, პროფესიონალი, ენერგიით სავსე გოგონაა, სტუდენტებისა და კოლეგების მოსიყვარულე, მეგობრული, თავდაჭერილი და ზრდილი. მიმდინარე წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები დოქტორანტურაში.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არ დარჩენია ახალგაზრდა გოგონას თავდადებული საქმიანობა. რექტორის, პროფ. ალ. ბაკურიძის 2012 წლის 28 ივნისის ბრძანებით (№2-05-63) თეა ქოიავას გამოეცხადა მადლობა დეპარტამენტსა და რსუში შრომით საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ამ პატარა წერილით მინდა მოვეფერო თეას და უდიდესი სიყვარულით



თეა ქოიავა (ცენტრში) თავის სტუდენტებთან ერთად.

აკრედიტაცია. სწავლობს 200-მდე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი. დეპარტამენტი გამორჩეულია ახალგაზრდობის სასწავლო-აღმზრდელით, სამეცნიერო-კვლევით მუშაობითა და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით.

ბიოლოგიის დეპარტამენტის აღნიშნულ სამეცნიერო-კვლევით თუ ორგანიზაციულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებში მისი ხელმძღვანელის,

მიგულოცო ეს წარმატება, აღიარება, დაფასება და ვუსურვო შემდგომი წარმატებები როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**გუგული დუმბაძე**  
ასოცირებული პროფესორი,  
განათლებისა და მეცნიერებათა  
ფაკულტეტი,  
ბიოლოგიის დეპარტამენტი.

## საკაფია ტყეპუჩავას გახსენება



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტმა დიდი დანაკლისი განიცადა: 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ლექტორი, დამსახურებული პედაგოგი, რუსული ლიტერატურის ისტორიის ნამყვანი სპეციალისტი — სერაფიმა ტყეპუჩავა.

ის 60 წელი მუშაობდა ჯერ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე რუსული ლიტერატურის კურსის ლექტორად, ხოლო შემდეგ რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის წევრი და რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსის ლექტორი იყო.

სერაფიმა ტყეპუჩავა დაიბადა 1917 წელს ქალაქ ვლადიკავკაზში მოსამსახურის ოჯახში, რომელიც შემდეგ საცხოვრებლად ქალაქ პიატიგორსკში გადავიდა, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ — 1939 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დაბრუნდა პიატიგორსკში და საშუალო სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. გამოცდილი მასწავლებელი 1943 წელს ჩაირიცხა პიატიგორსკის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში და აქვე დატოვეს რუსული ლიტერატურის კათედრაზე მასწავლებლად.

1952 წლის სექტემბრიდან სერაფიმა ტყეპუჩავა მონივრულ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ლიტერატურის უფროს მასწავლებლად და 60 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

სერაფიმა ტყეპუჩავა მაღალ მეცნიერულ დონეზე კითხულობდა ლექციების კურსს რუსული ლიტერატურის ისტორიაში. მიჰყავდა აგრეთვე სპეცკურსები, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საკურსო ნაშრომებს. იგი იყო კათედრასთან არსებული სამეცნიერო-თეორიული სემინარის ხელმძღვანელი. ასრულებდა სამეცნიერო კვლევით შრომებს. იგი ავტორია 30 სამეცნიერო შრომისა, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია ინსტიტუტის შრომების კრებულში, სხვადასხვა ყურნალ-გაზეთში, სამეცნიერო კონფერენციების თეზისების კრებულში, აგრეთვე სერაფიმა ტყეპუჩავა ჩაბმული იყო საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში და საინტერესო ლექციებს კითხულობდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაში.

ქალბატონ სერაფიმას განსაკუთრებულად და გამორჩეულად უყვარდა სტუდენტები და მათთან მუშაობა. იგი კარგად ფლობდა პედაგოგიურ ტაქტს, საინტერესოდ და პოპულარული ენით გადასცემდა რუსი კლასიკოსების პროზაულ და პოეტურ თუ დრამატულ შრომებს. შესაბამისად, იგი იმსახურებდა სტუდენტი ახალგაზრდობის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

სერაფიმა ტყეპუჩავა კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებში.

სერაფიმა ტყეპუჩავას ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა ჯილდოები, მედლები, სიგელები და მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული მოღვაწის წოდება და მრავალი სხვ.

სერაფიმა ტყეპუჩავას სახელი დიდხანს დარჩება რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი კოლექტივისა და კურსდამთავრებულთა გულში.

**სლავისტიკის დეპარტამენტი**

## უნივერსიტეტს ამერიკის უმართავი უბატავის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ეწვია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ეწვია. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამერიკისმცოდნეობის ცენტრი, განათლების საერთაშორისო ცენტრი, ბიბლიოთეკა მონიხსულა და შოთა რუსთაველის დარბაზში სტუდენტებს, პროფესორ-

მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა აშშ-სა და საქართველოში ჩატარებული არჩევნები შეაფასა, მის მნიშვნელობაზე ისაუბრა, ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობები მიმოიხილა და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.





# მეცნიერება სავარაუდოდ ღვთიური ნაწილაკი აღმოაჩინეს

შვეიცარიისა და საფრანგეთის საზღვართან განლაგებული მსოფლიოში უდიდესი ლაბორატორია, დიდი ადრონული კოლაიდერი, რომელშიც უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა. მეცნიერები წლების განმავლობაში „ნადირობდნენ“ ჰიგსის ბოზონზე, ერთადერთ ელემენტზე, რომელმაც სამყაროს შექმნის თეორია უნდა გაშიფროს. სამეცნიერო წრეებში მას „ღმერთის“ ნაწილაკსაც უწოდებენ.



2012 წლის 4 ივლისს CERN-ში გაიმართა მორიგი ღია სემინარი, რომელზეც კოლაბორატორიების CMS-სა და ATLAS ჯგუფის მეცნიერებმა წარმოადგინეს ჰიგსის ბოზონის ძიების საკითხში ახალ-ახალი შედეგები. შეხვედრაზე იმყოფებოდა 4 თეორეტიკოსი ფიზიკოსი: ფრანსუა ენგლერტი, კარლ შაგენი, ჯერალდ გურანიკი და თვით პიტერ ჰიგსი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს „ჰიგსის ველის“ თეორიის განვითარებაში.

## მაგრამ რა არის ჰიგსის ბოზონი და რით არის ის ასე მნიშვნელოვანი?

ვიდრე გადავიდოდეთ ამ აღმოჩენის მნიშვნელობაზე, თავდაპირველად განვიხილოთ რაში მდგომარეობს ჰიგსისეული მექანიზმი და რა არის ბოზონი?

ელემენტარული ნაწილაკების თანამედროვე თეორია ემყარება გარკვეულ სიმეტრიას ელექტრომაგნიტურ და სუსტ ურთიერთქმედებას შორის. ითვლება, რომ სწორედ ეს სიმეტრია არსებობდა ადრეულ სამყაროში და, სწორედ ამიტომ, ნაწილაკებს არ ჰქონდათ მასა, მაგრამ რომელიღაც ეტაპზე ეს სიმეტრია სპონტანურად დაირღვა და ნაწილაკებმა შეიძინეს მასა. ამ მოვლენის ასხის მიზნით ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში შეიქმნა **ჰიგსისეული მექანიზმი**, რომლის საფუძველი ბოზე-აინშტაინის სტატისტიკაა, თუმცა მსგავსი სტატისტიკური თეორიები მხოლოდ რიცხვში, რა თქმა უნდა, არ გვხვდება. ცნობილია ფერმი დირაკის სტატისტიკა და ფერმიონები — ნაწილაკები, რომელთა ყოფაცქევა ამ სტატისტიკას ემორჩილება.

ჰიგსის მექანიზმის სამართლიანობის ასახვად, საჭიროა ექსპერიმენტული მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდება ჰიგსის ბოზონის არსებობა. ამ ნაწილაკის არსებობა თვით ჰიგსმა იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში. მეცნიერთა მოსაზრებით ნაწილაკის აღმოჩენა საშუალებას იძლევა აიხსნას სიმეტრიის დარღვევის და ჩვენი სამყაროს წარმოშობის იდუმალება.

ელემენტარული ნაწილაკების თანამედროვე თეორია ფუნდამენტური ნაწილაკების უბრალოდ ჩამონათვალს კი არ განიხილავს, არამედ მათ შორის ურთიერთქმედებასაც სწავლობს. მას საფუძვლად

უდევს იდეა იმის შესახებ, რომ ეს ორი, თითქოსდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ურთიერთქმედება — როგორცაა ელექტრომაგნიტური და სუსტი სინამდვილეში წარმოადგენს ერთი „მედალის“ ორ მხარეს — **ელექტროსუსტ ურთიერთქმედებას**.

ამ თეორიის მიხედვით მაღალ ტემპერატურებზე სუსტ და ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებებს შორის არსებობს სიმეტრია, თუმცა **ელექტროსუსტი სიმეტრია არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ფუნდამენტალურ ნაწილაკებს არ აქვთ მასა**. რეალობაში სრულიად სანინალმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ისეთ ნაწილაკებს, როგორცაა ელექტრონები, პროტონები, ნეიტრონები, კვარკები და ა.შ., რომლებიც ავსებენ ჩვენს გარემომცველ სივრცეს, რომლისგანაც შესდგება ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, გააჩნიათ მასა, რაც არაერთი ექსპერიმენტით იქნა დადასტურებული. მაშ, რაში მდგომარეობს ჰიგსის მოდელის არსი?

ბუნებაში არსებობს ელექტრომაგნიტური, სუსტი, ძლიერი და გრავიტაციული ურთიერთქმედება. კვანტური თეორიის მიხედვით, ელემენტარული ნაწილაკები მიკროსკოპულ მყარ ბურთულებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ველის მერხვე მცირე „შემჭიდროებულ უბნებს“ — კვანტებს. ელექტრონები ელექტრონული ველის კვანტებია, ფოტონები — ელექტრომაგნიტური ველის და ა.შ. ცხადია, ყველა ველს აქვს უმდაბლესი ენერგეტიკული მდგომარეობა, რომელსაც ხშირად „ვაკუუმს“ ვუწოდებთ. ეს არის მდგომარეობა, როცა ნაწილაკები საერთოდ არ გვაქვს, ველის ენერჯია ნულის ტოლია. „ჰიგსის ველი“ კი სხვაგვარადაა მოწყობილი. ჰიგსის მოდელში „ვაკუუმის“ ენერჯია ნულს აღემატება. მთელი სივრცე „ჰიგსის ველითაა“ სავსე და ამ ველის ირგვლივ თავს იყრიან დანარჩენი ელემენტარული ნაწილაკები. ჰიგსის ველის მოქმედება განსაკუთრებულია, ის ხელს უშლის ნაწილაკების აჩქარებას, თუმცა არ ეწინააღმდეგება მათ თანაბარ მოძრაობას. ველის მოქმედების შედეგად ნაწილაკები უფრო ინერტული ხდებიან, ძნელად გადაადგილდებიან, ანუ იძენენ მასას.

წარმოვიდგინოთ დარბაზი, ჩაკეტილი სივრცე, სადაც იმართება წვეულება. ადამი-

ანები დარბაზში თანაბრად არიან განლაგებული, მაგრამ თუ რომელიმე ცნობილი ადამიანი გამოჩნდება, მის ირგვლივ თავს იყრის ადამიანთა მასა, შესაბამისად ცნობილი ადამიანის ირგვლივ ადამიანთა სიმჭიდროვე სწრაფი და აჩქარებული მოძრაობის შემზღავსი ფაქტორია, რასაც ვერ ვიტყვით იმ ადამიანებზე, რომლებიც მოშორებით მოძრაობენ დარბაზში. ასეთ „ცნობილ ნაწილაკს“ წარმოადგენს სწორედ „ჰიგსის ბოზონი“. მასას, რომელსაც ნაწილაკები იძენენ ძირითადად განპირობებულია ველის ლოკალური სიმჭიდროვეთი. თითქოს ველი „სქელდება“, როცა გარშემო ნაწილაკების აჩქარებული მოძრაობა მკვეთრად გამოხატულია. ელექტრომაგნიტური ველის კვანტებზე (ფოტონებზე) ველი არ მოქმედებს, მათ შორის მოჭიდება ძალიან სუსტია, ამის გამო, ისინი უმასოდ რჩებიან.

გარდა ამისა, კვანტურ მექანიკაში მასა არ წარმოადგენს ფუნდამენტურ ობიექტს, მის როლს კვანტურ მექანიკაში ასრულებს ენერჯია, რომელიც მასასთან დაკავშირებულია ტოლობით  $E=mc^2$ , ამიტომ ნაწილაკის მასას ძირითადად სისტემგარეშე ერთეულით — ელექტრონ-ვოლტებით (უფრო ზუსტად მეგა — და გიგაელექტრონვოლტებით) ზომავენ.

XI საუკუნის დასაწყისში ჰიგსის ბოზონი იყო სტანდარტული მოდელის (თეორია, რომელიც ერთმანეთთან ადგენს ოთხი სახის ურთიერთქმედებებს სამის ურთიერთკავშირს) ერთადერთი ფუნდამენტური მოვლენა, რომლის არსებობა ექსპერიმენტალურად არ დადასტურებულა. უკანასკნელად 2000 წელს აღმოაჩინეს ტაუ ნეიტრინო. თუმცა, ეს თეორია არ არის უნაკლო, რადგან იგი არ მოიცავს გრავიტაციულ ურთიერთქმედებას და სხვა გადაუჭრელ საკითხებს. მრავალი მეცნიერის თვალსაზრისით, სტანდარტული მოდელი — ერთ-ერთი ფუნდამენტური თეორიაა ფიზიკაში ოდესმე შექმნილ თეორიებს შორის, ჰიგსის ბოზონი კი ამ თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ ამიტომ იყო მკვლევართა ყურადღება მიმართული ბოზონის აღმოჩენისაკენ.

და, რომ მეცნიერთათვის არ იყო ცნობილი ბოზონის მასა. სტანდარტული მოდელის ფარგლებში მისი თეორიულად გამოთვლილი მისი აღმოჩენას ცდილობდნენ ამერიკულ ტევატრონზე — ელემენტარული ნაწილაკების ამაჩქარებელზე, მაგრამ უშედეგოდ, და ექსპერიმენტი დაიხურა. თუმცა ფიზიკოსებმა ფერმის ლაბორატორიიდან (FermiLab) შეძლეს ნაწილაკის მასის მიახლოებითი განსაზღვრა.

სიტუაცია შეიცვალა, როცა ამოქმედდა დიდი ადრონული კოლაიდერი. პროტონების შეჯახებისას გამოყოფილმა მაღალმა ენერჯიამ მეცნიერებს დიდი რაოდენობის ექსპერიმენტული მონაცემების შეგროვების საშუალება მისცა. ამ მონაცემების შესაგროვებლად გამოიყენეს ორი დეტექტორი CMS (Compact Muon Solenoid) და ATLAS (A Toroidal LHC Apparatus). ამ ორი დეტექტორიდან მიღებულ მონაცემებს ამუშავებს ათასობით მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. დეტექტორები მუშაობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ზოგჯერ კოლაბორაციების მკვლევრები ადარებენ მათ მიერ მიღებულ მონაცემებს ერთმანეთს. ეს მონაცემები ზოგჯერ ავსებენ ერთმანეთს. მნიშვნელოვანია ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წვლილი კოლაიდერის ფუნქციონირებაში. ამჟამად CERN-ის გრანდიოზულ პროექტებში 33 ქართველი მეცნიერი მონაწილეობს, მემორანდუმის თანახმად კი ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდება. 33 ქართველი მეცნიერის მონაწილეობა — ეს მართლაც დიდი რიცხვია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვა დიდ ქვეყნებს მაგალითად უკრაინას ამ პროექტში 37 თანამშრომელი ჰყავს ჩართული, ხოლო სამხრეთ კორეას — 42.

2011 წლის დეკემბერში თითქოს რაღაც საინტერესო შენიშვნა გაიმართა სემინარი, სადაც მკვლევრებმა წარმოადგინეს რამოდენიმე საინტერესო შედეგი. პირველ რიგში ატლასმა აჩვენა, რომ 115,5-დან 131 გიგაელექტრონ-ვოლტამდე შუალედში ეს ნაწილაკი არ უნდა არსებობდეს. CMS-მა კი განაცხადა,


ვოლტის მახლობლობაში, თუმცა მაშინ აღმოჩენის შესახებ განცხადება არ გაუკეთებიათ. საქმე ისაა, რომ ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში სტატისტიკა მეფობს, ამიტომ ამ სფეროში აღმოჩენის შესახებ განაცხადს დიდი რაოდენობის მონაცემების მხოლოდ სტატისტიკური ანალიზის შემდეგ აკეთებენ. ასეთ შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ აღმოჩენა არის შემთხვევითი ხმაური, უმნიშვნელოა. გარდა ამისა, ეს უცნაური ნაწილაკები წამის უმცირეს მონაკვეთებში არსებობენ და შემდეგ ტრანსფორმაციას განიცდიან. თეორია წინასწარმეტყველებს, რომ ჰიგსის ბოზონის არსებობა ძალიან ხანმოკლეა, ამიტომ დიდი ადრონული კოლაიდერის მსგავსი მექანიზმებით მისი დაფიქსირება ძალიან ძნელია. თუმცა ფიზიკოსები ფიქრობენ, რომ შეუძლიათ, ექსპერიმენტში მისი შექმნა დაადასტურონ, თუკი შენიშნავენ იმ ნაწილაკებს, რომლებმაც გარდაიქმნენ.

როგორც ჩანს, ჰიგსის ბოზონი გარდაიქმნება სრულიად ჩვეულებრივ ნაწილაკებად, როგორცაა მაგალითად კვარკი. დიდი ადრონული კოლაიდერი კი ექსპერიმენტებში მილიონობით კვარკს ქმნის. ALICE-ის ლიდერ დევიდ ევანსის თქმით, ბუნება ძალიან ცუდად ექცევა მათ, რადგან ჰიგსის ბოზონის აღმოსაჩენად საჭირო დიაპაზონამდე შევიწროებისას მიიღეს ზღვარი, რომელზე დაკვირვებაც ყველაზე რთული იყო. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ხელსაყრელია იმის ცოდნა, რომ ჰიგსის ბოზონის აღმოჩენად საჭირო დიაპაზონამდე შევიწროებისას მიიღეს ზღვარი, რომელზე დაკვირვებაც ყველაზე რთული იყო. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ხელსაყრელია იმის ცოდნა, რომ ჰიგსის ბოზონის აღმოჩენად საჭირო დიაპაზონამდე შევიწროებისას მიიღეს ზღვარი, რომელზე დაკვირვებაც ყველაზე რთული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა დიდი ადრონული კოლაიდერის შექმნის უმთავრესი მოტივატორი იყო, ნაწილაკების უდიდესი ამაჩქარებელი არ შეწყვეტს ფუნქციონირებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ღვთიური“ ნაწილაკის აღმოჩენა 100%-ით დადასტურდება. გარდა ამისა, მეცნიერებს წინ აქვთ რამდენიმე წლიანი შრომა, რათა მომდევნო საკითხები ამოიხსნას. მაგალითად, რა ნაწილაკად ტრანსფორმირდება ჰიგსის ბოზონი, როცა ის ენერჯიას კარგავს. ამის შემდეგ შექმნება განსაზღვრონ, არის თუ არა ეს ის ნაწილაკი, რომლის არსებობასაც თეორია წინასწარმეტყველებდა, თუ რაიმე უფრო ეგზოტიკურია.

ეს აღმოჩენა, სავარაუდოდ, არა დასასრული, არამედ ახალი სამეცნიერო ეპოპეის დასაწყისი გახდება. მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ის მნიშვნელოვან შეცვლის სამყაროს მოწყობის არსებულ აღქმას და თავისი მნიშვნელობით გაუტოლდება აინშტაინისა და ნიუტონის თეორიებს.

მოამზადეს  
**ნუზარ ღომიძე და ივოლა ჯაბინძე**  
(ფიზიკის დეპარტამენტი)



ექსპერიმენტის მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული სიგნალი შენიშნეს 126 გიგაელექტრონ-



### სიხლავი ქიმიკი

#### ნახშირბადით მდიდარი პლანეტა

დედამიწაზე და მზეზე გაცილებით ნაკლებია ნახშირბადი, ვიდრე ჟანგბადი. მათი თანაფარდობა მზეზე უდრის 0, 56 ს, ხოლო დედამიწაზე კიდეც უფრო ნაკლებია.

ამერიკელმა და ინგლისელმა ასტროფიზიკოსებმა აღმოაჩინეს პლანეტა, რომელზედაც ნახშირბადი გაცილებით მეტია, ვიდრე დედამიწაზე. ეს პლანეტა მდებარეობს დედამიწიდან დაახლოებით 1200 სინათლის წლის დაშორებით.

ჟურნალი: „Химия и жизнь“. 2011 г. №3 Стр. 7

#### ადამიანები აღარ მოინამლებიან

ქიმიურ მრეწველობაში არსებულ ვერცხლისწყლის ნარჩენებს მარხავენ ღრმად მიწაში, მაგრამ იქიდან ვერცხლისწყლის ორთქლი ამოდის და აფუჭყიანებს ჰაერს. ადამიანის მიერ ჩასუნთქული ვერცხლისწყლის ორთქლი გროვდება თავის ტვინში და ინვესტ ტვივებს. მიწაში დასაფლავებული ვერცხლისწყლის ნარჩენებიდან ვერცხლისწყლის ნაკლებად ასაორთქლებლად ქიმიკოსი ტექნოლოგები ნარჩენებს უკეთებენ ბარიერს მანგანუმის მადნით.

ჟურნალი: „Химия и жизнь“. 2011 г. №3 Стр. 62.

#### ნანონანილაკები მედიცინაში

ქიმიოთერაპიის მეცნიერ მუშაკების მრავალი ცდის შედეგად დადგინდა, რომ კიბოს უჯრედებზე ულტრაბგერებისა და სილიციუმის ნანონანილაკების ერთდროული მოქმედებით კიბოს უჯრედები ილუშება.

ჟურნალი: „Химия и жизнь“. 2011 г. №3 Стр. 63.

#### სპილენძი გვიცავს

მოსახმარებელი მეტალის ნაკეთობების, კარებისა და ფანჯრების სახელურების და სხვა ნაკეთობების ზედაპირზე არსებული სპილენძის ფენა ავტომატურად კლავს და ანადაგურებს მრავალი დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს.

ჟურნალი: „Химия и жизнь“. 2011 г. №4 Стр. 64.

#### საკვები პროდუქტების ახლებურად შენახვა

საკვები პროდუქტების პერმეტულად დახურულ ჭურჭელში ჩაბერავენ სხვადასხვა გაზის ნარევის იმის მიხედვით, თუ რომელი საკვები პროდუქტია შეფუთული. თუ გაზთა ნარევი ნაკლებია ჟანგბადი და ჭარბობს ნახშირორჟანგთა გაზი (ნახშირბადის დიოქსიდი), ნარევი შესამჩნევად ამცირებს ბაქტერიების გამრავლებას.

ჟურნალი: „Химия и жизнь“. 2011 г. №4 Стр. 64.

მასალა მოიძია ქიმიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორმა

#### ოთარ შამილიშვილი

### „მტკიცებითი მედიცინა და სწავლების თანამედროვე მეთოდები სამედიცინო განათლებაში“



USAID-ის საქართველოს წარმომადგენლობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის მიმართულების ინიციატივით რეგიონში ექიმთა დიპლომანდელი და დიპლომის შემდგომი

განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება, რომლის ფარგლებში რს-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტს საჩუქრად შვიდი საფანტომე მულაჟი გადაეცა. პროგრამის

ეგიდით ჯანდაცვის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა თემაზე „მტკიცებითი მედიცინა და სწავლების თანამედროვე მეთოდები სამედიცინო განათლებაში“.

### შავი ზღვის ღრმა ფენების გეოლოგიური მონიტორინგის მეთოდები



NATO-ს ეგიდით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შავი ზღვის ღრმა ფენების გეოლოგიური მონიტორინგის მეთოდების შესახებ ეროვნული კონფერენცია გაიმართა. მონაწილეები იყვნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, სერბიის, თურქიის, ერაყის, სომხეთის და აზერბაიჯანელი მეცნიერები ახალი

ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების მოძიებისა და წყალბადის ენერგეტიკის განვითარებაზე იმსჯელებენ. მკვლევრები ასევე განიხილეს შავი ზღვის პოტენციალის სრულად და უსაფრთხოდ გამოყენების საკითხებს. სემინარი მაიამის უნივერსიტეტთან არსებული „წყალბადის ენერგეტიკის განვითარების, მსოფლიო ცენტრის“ დამაარსებლისა და ცენტრის დირექტორის, პროფესორ ნეჯატ ვეზირ ოგლუსა და მისი თანადირექტორის, საქართველოს ეკოლოგიურ-მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორ მარათი ციციშვილის ხელმძღვანელობით იმართება.

### „პიგის ნაწილაკის აღმოჩენა დიდ აღრონულ კოლაიდერზე“



საქართველოს მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ლექცია წაიკითხა თემაზე: „პიგის ნაწილაკის აღმოჩენა დიდ აღრონულ კოლაიდერზე“. ცნობილია ფიზიკოსმა ეპოქალურ აღმოჩენაზე, ცერნის სამეცნიერო ცენტრის 27 კმ. დიამეტრის მაჩქარებელზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. პიგის ნაწილაკის აღმოჩენა ხსნის თურათომ აქვს ნაწილაკსა და ზოგადად, მატერიალურ მასას წონა.

### „ელექტრონული სწავლების დანერგვა, სწავლების პროცესის ხარისხის გაზრდა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება“

„ელექტრონული სწავლების დანერგვა, სწავლების პროცესის ხარისხის გაზრდა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება“



ტალინის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ტიიტ ლანდი, პროფესორები მარიაკა მილი და რინე იულიერსონი მორიგი ვიზიტით რს-ს ეწვივნენ და პროექტის „ელექტრონული სწავლების დანერგვა, სწავლების პროცესის ხარისხის გაზრდა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება“ თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში“ შედეგები შეაფასეს. პროექტი მიზნად ისახავდა რს-ში ელექტრონული პორტალისა და ელექტრონული სწავლების დანერგვას, ოპერატიული სისტემა Moodle-ის დაფუძნებას, სხვადასხვა სპეციალობის 6 ელექტრონული სასწავლო კურსის შექმნასა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ელექტრონული სწავლების უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის თანამშრომლებმა ესტონელი ინსტრუქტორ ვერონიკა როგალევიჩთან ერთად მოამზადეს ვიდეო და ბეჭდური მეთოდური მითითებანი პროგრამა Moodle-ში მუშაობის დასაწყებად. ელექტრონული სწავლების პორტალით სარგებლობა უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს შეეძლება. ვიზიტის ფარგლებში ტალინის უნივერსიტეტის პროფესორმა რინე მიულერსონმა ლექცია წაიკითხა თემაზე: „პოლიტიკური რეჟიმების ცვლა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფონზე“.

### ნობელის პრემიის ლაურეატს აარონ ჩეხანოვსა და აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ



მედიცინის განვითარებისა და ქართული სამედიცინო მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე გატანაში შეტანილი წვლილისათვის ნობელის პრემიის ლაურეატს, ბიოქიმიის დოქტორ აარონ ჩეხანოვსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ. დაჯილდოების ცერემონიამდე, ცნობილია მეცნიერმა აარონ ჩეხანოვმა სასტუმრო „შერატონში“ გამართული კონგრესის „ჯანმრთელობა და წამალი“ ფარგლებში, 21-ე საუკუნის მედიცინის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების, კიბოს მეტასტაზის ახალი მეთოდის შესახებ ლექცია წაიკითხა. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი თვლის, კიბოს განკურნების არსებითია არა ზოგადად დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ცალკეული პაციენტის მკურნალობის ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება.

მედიცინაში (ისრაელი); 2001 წელი - მლანდაუს პრემია ბიოლოგიური გამოკვლევებისათვის (ისრაელი); 2002 წელი - მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრემია; 2003 წელი - ისრაელის სახელმწიფო პრემია ბიოლოგიაში.

2004 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი არის იმუნოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციისა და დსთ-ს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირის პრეზიდენტი, დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგთა საზოგადოების კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტისა და იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრის გამგე, სამეცნიერო ჟურნალების: ალერგოლოგია და იმუნოლოგია, ასთმა, დსთ-ს ქვეყნების ფიზიოლოგიური საზოგადოებების კავშირის მაცნე, იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო ჟურნალი, მსოფლიოს ალერგოლოგთა ორგანიზაციის ჟურნალის რუსული გამოცემის მთავარი რედაქტორი.

რ. სეფიაშვილი გახლავთ შვიდი სამედიცინო უნივერსიტეტის (კრასნოდარის, ნოვოსიბირსკის, როსტოვის, ტუმენის, ალმატას, თბილისისა და კიშინიოვის) საპატიო დოქტორი, ალერგოლოგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული აკადემიისა და ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული კოლეჯის საპატიო წევრი.

აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილს 2012 წელს მიენიჭა უმაღლესი და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის, ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული კოლეჯის, წამყვანი ჟილდო „გამორჩეული საერთაშორისო ჟილდო“. აღსანიშნავია, რომ მისი კანდიდატურა 9 გამორჩეული მეცნიერის მიერ, რომლებიც მის მიერ მსოფლიოსა და შშობლიური ქვეყნის მეცნიერებაში შეტანილი წვლილი. ეს პირველი შემთხვევაა ასეთი საპატიო ჟილდოთი ეროვნული მეცნიერის დაჯილდოებისა, რომლის ცერემონიალი შედგება 2012 წლის ნოემბერში, ლოს-ანჯელესში ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული კოლეჯის ყოველწლიური კონგრესის ფარგლებში.

### სტუდენტური საქველმოქმედო აქცია

ახალშენის ყოვლადწმიდა სამების მშენებარე სამონასტრო კომპლექსის გაუმჯობესების მიზნით საქველმოქმედო აქცია დაიწყო. აქტიურად მონაწილეობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. სტუდენტური თვითმართვლობის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო აქცია შაბათს, 3 ნოემბერს განახლდა და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ბოლო ერთი



წლის განმავლობაში სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები 12 ეკლესია-მონასტრის მშენებლობასა და გაუმჯობესების მიზნით სამუშაოებში იყვნენ ჩართული.



# ნარუქარი ნიბნები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჭავჭავაძის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო სამართლის დოქტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის გივი აბაშიძის ნიგნი „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“.

ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის საპროცესო თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. მასში განხილულია და ჩამოყალიბებულია სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუტის კონცეპტუალური საფუძვლები გამოძიების სტადიაზე, დისკრეციული დევნის პრინციპები, პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ამოცანები და ფუნქციები, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფორმები და მეთოდები, მისი როლი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში.

ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ იურიდიულ სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში.

ის პირველ რიგში განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტებისათვის, ასევე სამეცნიერო და სამართალდამცავ სფეროში მომუშავე პირების და პრაქტიკოსი მუშაკებისათ-

ოდოლოგიური უზრუნველყოფის, ორგანიზაციის, ანალიზისა და დაგეგმვის პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც.



სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტებისათვის, იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მენარმეებს და მენეჯერებს, აგრეთვე დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა ირინე ელიზბარაშვილის, მანანა სურამელაშვილის, ციცინო ჩაჩუაშვილისა და ხათუნა ჭურღულიას ავტორობით შესრულებული ნიგნი „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“. ნიგნი საუკეთესოდაა წარმოჩენილი აღნიშნულ საკითხზე არსებული ისტორიოგრაფია, ნაგებობათა აღდგენა-განახლების საუკუნოვანი ტრადიცია, ქართული სარესტავრაციო სკოლის ჩამოყალიბების ისტორია, საქმიანობა და გამოცდილების ანალიზი. მასში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ხელოვნების ამ დარგის მუშაკთა ღვაწლს. ბრძენს უთქვამს, რომ ასჯერ გაგონილს ერთხელ ნახული სჯობიაო და ამიტომაც განსაკუთრებული ინტერესით აღიქმება XIX-XX საუკუნეებში, ქალაქ ბათუმში არსებული შენობა-ნაგებობანი რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ. დღეს, საუბედუროდ მათი უმეტესი ნაწილი დანგრეულია. აღნიშნული ნიგნის 203-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ 2010 წელს ძეგლის სტატუსის მქონე ურბანული



და გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობები დაანგრეს. ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობათა უმეტესმა ნაწილმა დაკარგა ისტორიული სახე. განაშენიანების შედეგად სახე იცვალა სანაპირო ზოლმაც, რომელიც საპორტო ქალაქის ერთგვარ სა-

იზიტო ბარათს წარმოადგენდა და ქმნიდა ქრესტომათიულ ხედს, რომელსაც მრავალრიცხოვან საფოსტო ბარათებზე გამოსახავდნენ.

ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის რესტავრაციასთან დაკავშირებით ავტორები სვამენ კითხვას, რომ შესაძლებელია კი ბათუმში არსებული პირველი მართლმადიდებლური ტაძრის მხატვრული სახის ასე შეცვლა? მით უფრო, რომ სტილისტურად, ეს აღრეული, გაურკვეველი ეკლექტური მიდგომა უკარგავს შენობას თავდაპირველ სისადავესა და მხატვრულ მთლიანობას. ეკლესიის არსებული ფასადები მიუსადაგეს მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად აღმოცენებულ, ქუჩის საპირისპირო მხარეს მდებარე „პიაცას“ სახელით ცნობილ მოედანს. უფრო მეტიც, მკრეხელობა ჩაიდინეს. მოშალეს ეკლესიის კარიბჭის მარცხენა კედელზე არსებული წმინდა ნიკოლოზის გამოსახულება, სადაც ეკლესიის აშენების თარიღი იყო აღნიშნული და მას მიაყოლეს ეკლესიის კედელთან განსვენებული ბათუმის ამაგდარი ადამიანების საფლავთა ეპიტაფიები.

ნიგნი წარმოადგენილი ძველი ბათუმის მდიდარი ფოტო-დოკუმენტური მასალა სამუდამოდ დარჩება მომავალი თაობების შესიერებაში. მასში გამოყენებულია დ. ერმაკოვის, გ. ბარტიშევიჩის, ი. გილგენდორფის, ი. ზენკოს, ი. პინაევის, რ. გვერდნიტელის, ო. თორთლაძის და სხვა ცნობილ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები.

აღნიშნული ნიგნი დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს არქიტექტურით დაინტერესებულ მკითხველს.

„ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“ — ეს არის 1819-1820 წლების დასავლეთი საქართველოს (იმერეთი, გურია, რაჭა) ცნობილი აჯანყება, რომლის შუაგულში აღმოჩნდნენ დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი. რუსეთის მიერ წამოწყებული „ინვენტარიზაცია“ აღმოუთქვამდა მოსახლეობას მღვდელმთავრები ქრისტესმთავარი სიყვარულით განსჯისა და სიმშვიდისაყენ მოუწოდებდნენ, ხოლო რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებას ამ გაუგონარი და ჩვენი ეკლესიისათვის მიუღებელი საქმიანობის შეწყვეტას სთხოვდნენ. რუსმა მოხელეებმა მოხუცი მღვდელმთავრები სახელმწიფოს მტერ „ბუნტოვნიკებად“ შერაცხეს და მათ დასაპატიმრებლად, თითქმის დიდ საომარ ოპერაციას ატარებდნენ, დამატებითი შეიარაღებული რაზმები მოითხოვეს.

ნაცემი და ხიშტებით დაჩხვლელი მღვდელმთავრები, ტომრებით ცხენებს აკიდებულნი, რუსეთის გზას გაუყენეს... დასუსტებული დოსითეოსი ანანურთან გარდაიცვალა, ექვთიმე კი ნოვგოროდიდან იმპერატორთან წარსადაგნად პეტერბურგში ჩაიყვანეს... „ყოველივე მოახსენა ხელმწიფესა (იმპერატორ ალექსანდრე პავლეს-ძეს), რაც რომა შეკითხულიყო ამა მღვდელმთავრისათვის, და შემდგომად ინება ბრძანებად და წარვლინებად მონასტერსა შინა ნოვგოროდის გუბერნიას, სვირისასა... მუნ მიიცვალა ექსორიობასა შინა...“. მოხუც მღვდელმთავარს მრავალრიცხოვან ქართველთა სისხლის დათხვევის გამო იმპერატორ ალექსანდრე I-თვის „ახალი დროის ნერონი“ უწოდებია. გასახლებული და სამშობლოს მონატრული მცხოვანი მღვდელმთავარი 1822 წლის 21 აპრილს გარდაიცვალა.

„ეროვნული სულის გამობრწყინება“ საუბარია ილია ჭავჭავაძეზე — დიდ ქართველ მწერალზე, პოეტზე, პუბლიცისტზე, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეზე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერზე. ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძე შერაცხულია წმინდანად, წმინდა ილია მართალი ეწოდება მას.

მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძე დიდი მიზნის განხორციელებას — ქართველი ხალხის კონსოლიდაციას, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებასა და ამაღლებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ემსახურებოდა. ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი. უწინარეს ყოვლისა, ამაშია მისი ეპოქალური დამსახურება საქართველოს წინაშე.

მოწინავე ეროვნულმა იდეებმა, ერის გადარჩენის გზების ძიებამ ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა შემოქმედებაში შეიძინა მწყობრი და თანამიმდევრული კონცეფციის სახე, რომელიც მთელი ერის ქმედებისა და ბრძოლის ნათლად გააზრებულ პროგრამად იქცა და რომლის საბოლოო მიზანს ეროვნული ჩაგვრისგან თავისუფალი და სოციალურად თანასწორი საზოგადოების აშენება წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე მწინავე იყო მათ შორის, ვინც ქართულ სინამდვილეში ასეთი საზოგადოების აშენებისა და მშობელი ქვეყნის ბედნიერი მომავლის რწმენა დანერგა.

„საქართველოს პირველი რესპუბლიკის ევროპული ორიენტაცია“ — ასე ეწოდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-




ლიკის არსებობის პერიოდს (1918-1921 წლები). ამ პერიოდში გამოიკვეთა საქართველოს ევროპული კურსი, სწორედ ევროპის სახელმწიფოები (გერმანია, ინგლისი და სხვა) იყვნენ გარანტი მათთვის, რომ დამოუკიდებლობის, ამიტომაც იყო, რომ მათზე აიღო გეზი პირველმა ქართულმა სახელმწიფომ, მაგრამ მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობისა, საბჭოთა რუსეთიც და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან. ისინი ქართულ საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თვით რუსეთმა ცნო დე-იურე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს მოხდა ორ ქვეყანას შორის 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემის ზრდას. ამის შედეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება რიგი ქვეყნების მიერ. სულ საქართველოს დამოუკიდებლობა. დე-იურე აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა (დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც გრძელდებოდა):

- თურქეთი 1918 წლის 3 ივნისი
- რუსეთი 1920 წლის 7 მაინი
- გერმანია 1920 წლის 24 სექტემბერი
- შვეიცარია 1920 წელი
- ბელგია 1921 წლის 27 იანვარი
- საფრანგეთი 1921 წლის 27 იანვარი
- ინგლისი 1921 წლის 27 იანვარი
- იტალია 1921 წლის 27 იანვარი
- იაპონია 1921 წლის 27 იანვარი
- ავსტრია 1921 წლის 17 თებერვალი
- რუმინეთი 1921 წლის 18 თებერვალი
- ჰაიტი 1921 წლის 9 მარტი
- ლიბერია 1921 წლის 28 მარტი
- მექსიკა 1921 წლის 14 აპრილი
- პანამა 1921 წლის 26 აგვისტო
- სიამი 1921 წლის 20 ნოემბერი
- ლუქსემბურგი 1922 წლის 23 თებერვალი

მოამზადა მერაბ მებრეილიშვილმა



ვის. ნიგნი დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ბესიკ ბაუჩაძის ნიგნი „მმართველობითი აღრიცხვა“. სასწავლო სახელმძღვანელოში მოცემულია თეორიული და პრაქტიკული მასალები იმის შესახებ, თუ როგორ შევიშუშავთ როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო ინფორმაცია, შევიშუშავთ კონსოლიდაციის და ანალიზის სისტემა, რომელიც სწრაფად მოგვცემს სიგნალს პრობლემების შესახებ; კომპანიის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ამაღლება, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ურთიერთკავშირის სისტემის შექმნა, სანარმოს შიდა კონტროლის მრავალსაფეხურიანი სისტემის ეფექტური ორგანიზება, დანახარჯების მართვის სისტემის შექმნა მათი ოპტიმიზაციის მიზნით, ბიუჯეტირების სისტემის დანერგვა როგორც სტრატეგიული, ისე ოპერატიული, დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება შემდეგი ამოცანების გადამწყვეტისათვის: განსაზღვროთ ბიზნესის განვითარების სტრატეგია, ჩამოყალიბოთ მიზნები და გამოვიშუშავთ მათი მიღწევის გზები.

მმართველობითი აღრიცხვის კურსი უზრუნველყოფს სააღრიცხვო დისციპლინათა მემკვიდრეობითობასა და პარმონიზაციას. ის არა მხოლოდ აყალიბებს წარმოდგენას მმართველობითი საქმიანობის შესახებ, არამედ შეიცავს მისი მეთ-

რედაქტორი: იოსებ სანიკია  
საგამომცემლო: ნესტან ვაჟაშვილი



საკადაქმიო კოლეჯი: ნანა მახარაძე  
ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი  
გურჯაანის რაიონის აკაკის ქ. 101  
გურჯაანის რაიონის აკაკის ქ. 101  
გურჯაანის რაიონის აკაკის ქ. 101

გაზეთი დაიბეჭდა სს „პოლიგრაფისტი“  
27-59-10, 27-59-11  
მის.: ქ. ბათუმი.  
გოგობაძის 91